ISSN 0132-6015

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი

დეკემბერი

23–24 1991

ნახ. ვ. კუტიანი

ახალი წელი: — მეკვლევ! ეს ყველაფერი ძველ წელში უნდა დარჩეს!

ილია ჭავჭავაძეს ახალი წელი!

ვერვინ მოთვლის, მართლაც, საქართველოს ჭირს!..
ძველი წელიწადისა გახსენებაც ჭირს!..
აირია მონასტერი, ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა,
არვინ იყო მართალი, ცოტა ყველამ შესცოდა!..
ზოგმა ბევრიც შესცოდა, ზოგმა — ბევრზე ბევრი!..
რაც რომ ჩვენს თავს ვუქენით, არ გვიზამდა მტერი!
ვაი, როგორ დავმდაბლდით, ვლანძღეთ, დავგმეთ ერთურთი,
მოყვასი არ დავინდეთ, მოვუღერეთ ბებუთი!..
ნულარ გამახსენებთ ძველ წელიწადს მწარეს,
მამწუხარეს, მატირეს!.. ვაი, დედა, რა ქნეს, —
თითქოს გული დამიჭრეს, ნაწილ-ნაწილ აქნეს!..

თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ რიხით,
ასეთ თავისუფლებას რაღა თავში ვიხლით,
თუ ერთმანეთს დავერიეთ ტყვიით, კეტით, წიხლით?!.
ძველ წელიწადს მწარეს წყევლა-კრულვას ვუთვლი!
ვაი, ბევრჯერ დამიდგა თვითმკვლელობის წუთი!..
ჟამსა საბედისწეროს მოვიკრიბე გონება,
ჩამითვლიდა თვითდაწვას ყველა ეპიგონობად!..
... ახალ ფიქრით, იმედით, წელო, გხვდები ახალს,
მოეღება ბოლო ბოროტსა და ახვარს!..
სიმშვიდეს და სიყვარულს ვერვინ შეგვილახავს!

ნოდარ შამანაძე

ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთმა ყველას გაგითენოთ ასი ტკბილი წელიწადი!

ყველამ თავისი საქმე აკეთოს! — ჩაგვძახიან. ნეტავი, თქვენი გახარებით, ისე ბედნიერი გვამყოფა, რომ მარტო ჩვენს საქმეზე გვაფიქრებინა, მშვიდობიანად გვაშრომა! მშრომელი ხომ შრომას ვერ მოიშლის?! შრომა რომ არა, ჩვენი საქმის სიყვარული რომ არა, რა გაუძლებდა ამდენ განსაცდელს, რა აგვატანინებდა ბედშავთ იმ ხაშინელი სურათის ხილვას, რომელსაც „ძმამ ძმას სახრე გადაუჭირა" ჰქვიან?!

გული ლამის ამოვარდეს ბუდიდან, მაგრამ სანუგეშო სიტყვას გვეტყვიან, მერე ნათელმოსილი გონაშვილი ტკბილად გვიმღერებს და მცირედ მაინც შეგვიმსუბუქებს დარდს!..

სად არის სიხარული?! დავიწყებას მიეცა გულიანი სიცილი!.. გამიგონია, არაბეთში ერთგვარი ბუჩქი ყოფილა. იმის ნაყოფს რომ მიირთმევს ადამიანი, ისეთი სიცილი აუტყდება, ბევრიც ეცადოს, ნახევარი საათის განმავლობაში ვერ დაეღწევა!.. ასე იწყნარებენ თურმე ნერვებს არაბები! ვითომ ის ნაყოფი გვიშველიდა?! არა!

გული ლამის ამოვარდეს საგულედან და, აი, მოვიდა ფეხბედნიერი მეკვლე ახალი წლისა: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი — კვალი ანგელოზისა! — ღმერთმა გისმინოს! — შევაგებეთ სიტყვა კეთილდღეობისა და მშვიდობის მეკვლეს.

რა მოგვიტანე?! — ჰკითხავდა ძველი ქართველი მეკვლეს. ზეპირსიტყვაობას შემოუნახავს სამეკვლეო ტექსტი: მშვიდობა და კეთილდღეობაო, მაღალი განათლებაო, კარგი წესწყობილებაო, ძმობაო, შრომისმოყვარეობაო, წყალობა და დალოცვა წმინდა ბასილისაო!..

საახალწლო დალოცვაში მეკვლე უსურვებდა თავის ხალხს ყველა იმ კარგს, რაც ჩვენს სახელოვან წინაპრებს გააჩნდათ: დარბაისლობა დადიანისაო, ახოვნება აბაშიძისაო, სილამაზე მაჭუტაძისაო, სიმამაცე წულუკიძისაო, ხარდლობა ერისთავისაო, სწრაფი ლეკური ლორთქიფანიძისაო, მხიარულება ჩიქოვანისაო, უზანგის გაკვრა (ყველაფერს ლაზათი უნდა!) მიქელაძისაო, ღვინო და პური, ქეიფი და თარისა თუ ჩანგის დაკვრა — ქართლელ-კახელისაო, თასით ღვინის სმა — ჭავჭავაძისაო!.. კარგ სადღეგრძელოს იტყოდა ენამჭევრი გულბაათ ჭავჭავაძე და სიყვარულისა და ძმობის მქადაგებელი ასწევდა ღვინით სავსე თასს!..

ზეპირსიტყვაობას შემოუნახავს ამბავი: მეფე ერეკლეს დაუვალია გულბაათ-ბატონისთვის ხევსურეთის ორი სოფლის მოჩხუბარ გლეხთა დაწყნარება და შერიგება. გულბაათ-ბატონს უკისრია, წაბრძანებულა ხევსურეთში და მოუხმია მოდავენი. ხლებიან შეიარაღებული ხევსურები, გულბაათ ჭავჭავაძის მართალსა და ტკბილ სიტყვას დაუშოშმინებია მტრულად განწყობილნი. ამას მოჰყოლია კარგი პურ-მარილი და ძმობის ფიცი. ერთ ხევსურს უთქვამს გულბაათ-ბატონისთვის: ბევრ მწიკვლ იყო ჩვენს ორ სოფელს შუა. ვერავინ ასწმენდდა, შენი ტკბილი ენაის მეტიო!

ახლა კოლა ერისთავის შემრიგებლობის ნიჭი გავიხსენოთ: კარგი სიტყვისა და საქმის კაცი, ქართული თეატრის ერთგული მსახური, აქტიური საზოგადო მოღვაწე ერთხანს მუშაობდა ქიზიყში ბოქაულად და მომრიგებელ მოსამართლედ. ქიზიყელებს კარგად მიუღიათ. ერისთავი ჰყოფილხარ, ჩვენ — ერი და შენ — თავიო, — უთქვამთ. ემსახურებოდა სიმართლეს კოლა ერისთავი და ხალხის სიყვარულიც დაუმსახურებია. იმხანად მაჩხაანელებსა და ფანიაანელებს შორის მტრობა გაჩაღებულა: მიწასა და მიჯნაზე ვერ შეთანხმებულან! კოლა ერისთავს ერთ ადგილას შეუყრია ხანჯალმომარჯვებული ფანიაანელები და მაჩხაანელები. მის დარბაისლურ, მამაშვილურ, ტკბილსა და გულმართალ სიტყვას ჩაუგია ხანჯლები!.. ამას მოჰყოლია ხელის ჩამორთმევა და ძმობის ფიცი!.. გაშლილა სუფრა და ქიზიყელები მოუხიბლავს კოლა ერისთავის დეკლამაციას!.. მან ხომ ზეპირად იცოდა ილიასა და აკაკის მთელი პოეზია!

...ღმერთმა დაგლოცოთ და გაგითენოთ ასი ტკბილი წელიწადი!
გულო, ჩაჯექ ბუდეში, გულო, ნუ გეშინია!

ლალი მარტაშვილი



ნახ. ბ. ზუგაშვილისა

ლოთარ შალოუსტერიანი

მამის დარიგება

მომიჯექ, შვილო,
ახლოს მოიწი,
მამაშვილური
დავდოთ პირობა:
დრო რომ არავის ხათრობს,
ხო იცი,
არ გაპატიებს
დოყლაპიობას!

თავის დაღს ასვამს
ყამთა სვლა კედლებს,
თუნდ ედოს ურთხლის
ლარძაყინები!
შენ ვინ ხარ, შვილო?! —
გოლგოთის ბჭემდე
ქრისტე ატარეს
ლანძღვა-გინებით!..

ნუ დაიჩემებ
მიწყივ ზეობას,
უნდა ხანდახან
იქცე ბეჩავად!
ხომ ხედავ, შვილო,
დიდ-მცირეობამ
დიდიც და მცირეც
როგორ შეგამა?!

ქიშპობა აქაც
იქცა ხელობად,
კარგის დათრგუნვას
ცდილობს არამი!
საქართველოში
დიდ ქართველობას
არ გაპატიებს,
შვილო, არავინ!

ნუ ამაღლდები
თვალშისაცემად,
იკმარე მხოლოდ
ცოტა სიქველე!
უფრო ცუდია
მაშინ დაცემა,
ცხოვრების სიტკბოს
როცა იგემებ!

ნურც ტოლ-სწორებში
გამოირჩევი, —
ვერავინ გნახავს
იქაც უვნებელს!
იცოდე, შვილო,
გამორჩეულებს
გამორჩეულად
ითვალწუნებენ!..

მაღალ სავარძელს
უნდა ერიდო! —
ჯორკო აგაცდენს
ღვარძლს და
კინწისკვრას!
შუაკაცობას!
არაფერი სჯობს —
არც ცისა იყო
და არც მიწისა!
უკეთესობას გერჩიოს
კარგი!
აბა, რად გინდა,
მარად შიშობდე?!
ენების ცოდნაც
არაფერს გარგებს, —
ჩუმი ქირქილით
სისხლს გაგიშრობენ!..

სულ გქონდეს შიში
უბადღებისა,
ჩერო არ არის, განა,
საშური?!
პირველ ხმას — დამხშობს
სხვათა ხმებისას,
ბანი გერჩიოს —
თავად დახშული!

ხე უფრო მხნეობს
ჯმუხა, დაბალი
ვიდრე ტანწვრილი
და აწოწილი!
შეირთე ქალი
უხათაბალოდ, —
ცხრაკაციანიც
კმარა ქორწილი!
ტახტი სჯობს, შვილო,
მდიდრულ ტახტრევანს:
გინდ — წამოწექი,
გინდ —გაიმართე!
თუ სიმართლის თქმით
რამე წახდება,
აცალე, სხვამ თქვას
იგი სიმართლე!

საფირმო ავტო
შენიღბულია
ცილისწამებით,
ზიზღის ხვიარით!..
ჩვენს მამა-პაპას
ცხენით უვლია,
მაგრამ არ იყო
ხირცხვილიანი!..

ერისკაცობა? —
ბარემ იცოდე,
თუ რა მოიმკეს
ერისკაცებმა:

ზოგს ავარია
უსპობს სიცოცხლეს.
ზოგს წიწამურთან
ელის დაცემა!..

ეს მინდა, შვილო,
გირჩიო კიდევ,
რომ არ დაგატყდეს
თავზე შერისხვა:
შენ დიდი საქმე
არ აიკიდო,
რადგან დიდ საქმეს
დიდი მტერიც ჰყავს!..

ერთადერთია
ამ გზით სწორება —
განიქრო სევდა
განუქარველი!
ასე მოიარგე
დრო და ცხოვრება
და.. ღმერთი იყოს
შენი მფარველი!..

ლიტერატურული კაფიები

სხვისი რითმების,
სხვისი აზრების,
მეტაფორების
კალმასობაში
შეჭაღარავდა...
ამასობაში
ქე გაიწაფა
კალამ-სობაში!

* * *

არ ვიცი, ვისგან
იღებენ ნებას,
ანდა ამ საბუთს
რა ძალა ახლავს?! —
ლექსი ითხზვება,
რამდენიც გნებავთ,
პოეტები კი
ცოტანი გახლავთ!

* * *

სხვადასხვა კილო
მესმის ფეთების,
რას იზამ, ესეც
ვითომ წესია?! —
ზოგი კეთდება
ლექსის „კეთებით“,
ზოგიც — მშიერი
ჰქმნის პოეზიას!

* * *

რამდენიც გინდა,
იღაღადე,
თუ ჭრის ღაღადი!
კალამბურებიც
აცხვე თუგინდ
ფერად-ფერადი!
აი, ხეირი:
„დედაენას“
უჭირს ქაღალდი,
სამაგიეროდ
ის ბევრი აქვს
კოოპერატივს!

* * *

წიგნს აწერია —
გამოდისო
ავტორის ხარჯით!
ვისაც როგორ ხურს,
მისი ფული,
დე, ისე ხარჯოს! —
მაგრამ ერთს ვურჩევ,
მოკრძალებით,
ზოგ მათგანს, მაშინ:
„ავტორის“ ნაცვლად
რომ „სინდისი“
ეწეროს, არ ჯობს?!

* * *

წიგნის დასტამბვამ
ლამის არი.
გადაგიყოლოს!..
ნუ ხარ ამაყი,
ძმავ, პოეტო,
ნურც — ბირვეული!
ბარათაშვილიც
ისე მოკვდა, —
ჩვენი ნიკოლოზ, —
რომ ერთადერთი
დაგვიტოვა
ლურჯი რვეული!
ამაზე უფრო
მასიური
ტირაჟი არ მწამს!
ეს არ ჯობია
აქეთ-იქით
სტამბებში წანწალს?!

* * *

მე — ერთი ტომი!
შენ — ორი ტომი!
მას — სამი ტომი!..
ასცდა სიმართლის
მატარებელი
გზას ამიტომაც!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი

— ქეთინო, შენც და ბავშვებმაც ჩაიცვით ასეთი ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ჩასხედით ბეტეერში, ნაძვის ხეზე მივდივართ ცირკში!..

თემა ნ. იოსებიძისა

ნახ. მ. აბაშიძისა

გივი პეტრიაშვილი



საახალწლო ბაზრობაზე გამარჯვებულები



— არ მოვტყუვდეთ! გადაცმული სპეკულანტია, პროდუქტების გატანა უნდა!..

ერთი შობა ალეკოს

იუმორესკა

ქუთაისში, რიონის პირას, მჭედლების უბანში გაატარა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის წლები ბესარიონ ლორთქიფანიძემ, დიდი დავით კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურთა“ ტიპიური წარმომადგენელი რომ გახლდათ!..

მასზე ბევრი რამ ახსოვთ ძირძველ ქუთაისელებს, მათ შორის მწერალ დავით ხუროძეს, რომელიც შესანიშნავი იმიტატორიცაა.

დავითსა და მის მეგობრებს ხშირად უყვარდათ ბესარიონის კარმიდამოს მონახულება და ბესარიონთან საუბარი.

ერთ საღამოს კინოდან გამოვიდნენ და მჭედლების უბნისაკენ აიღეს გეზი, ბესარიონი შეუძლოდ იყო და ადრე ჩაწოლილიყო.

— ბესარიონ, დაიხურე საბანი! — ანეტას ხმით შესძახა დავითმა.

— მახურავს, ქალო, ვერ ხედავ?! — დაიბუხუნა ბესარიონმა.

— ბესარიონ, დაიხურე საბანი! — გაიმეორა დავითმა.

— მახურავს, ქალო!.. ამ ბოლო ხანებში დაბერდი და თვალში დაგაკლდა! — შეუღრინა ბესარიონმა.

— ბესარიონ, არ გამიცივდე, საბანი კარგად ამოიკეცე! — კვლავ ჩაესმა ბესარიონს.

— ქალო, რა ღმერთი გაგიწყრა და რა საღერღელი აგეშალა ამ შუაღამისას ჩემი სიყვარულით?! მახურავს, ვერ ხედავ?!

ბესარიონმა ისე ხმამაღლა წარმოთქვა ეს სიტყვები, რომ ღრმა ძილს მიცემულ მეუღლეს თვალები დაეჭყიტა და შეშინებული წამოვარდნილიყო.

— რა იყო, ბესარიონ, სიცხემ ხომ არ აგიწია?! ახლავე ძმარში ამოვლებულ ტილოს მოგიტან და შუბლზე დაგადებ!

— ქალო, რისი ტილო, რისი ძმარი?! მთელი ღამე რომ მეძახი, საბანი დაიხურეო, ასე რავა დაბერდი და გამოჩერჩეტდი?!

ანეტა გაოგნებული იყო.

ბესარიონი უცებ გაერკვა სიტუაციაში და მიხვდა, რომ ეს დავითის მორიგი ოინი იყო.

ფოსტლებში ჩაყო ფეხი და ფანჯრიდან გადასძახა:

— ბიჭო, დავითია, რატომ გინდა ჩემი ისტორიული მტრის, ბეჟან ხლუსტის გული გამიხარო?! (ასე ეძახდნენ მოსამართლე ბეჟან ფუთურიძეს ქალაქში), ერთი შენ მეუბნები და მეორე იგი — „ბესარიონ, საბანი საქამდე გაგწვდება, იქამდე გაშალე ფეხიო!“ ვინ კითხავს მაგ ოხერ მამაძაღლს, მე საქამდე გავშლი ფეხს?! სული უცხონდა მამამისს, ამ შობა-ახალ წელს მამაპაპურად თუ გავითენებ, მიყუროს მაგ ვაჟბატონმა!

— დაწერილია უშეცდომოდ, მაგრამ უდიდესი შეცდომაა!

დავითი და მისი მეგობრები ბესარიონმა შინ შეიპატიჟა.

დავითმა მორიდებით უთხრა:

— მაინც რას გადაგვეკიდა ეს შენი მეზობელი?

— რევულუცია მხრებით მაქვს მოტანილიო!

— მერე, თქვენ რა უთხარით, ბესარიონ ბიძია?

— ვინ გეხვეწებოდა, რომ მომიტანე, საიდანაც მოიტანე, იქ წაიღე და ტრანსპორტის ხარჯებსაც მე გავისტუმრებ-მეთქი!

— კი, მაგრამ გაქვთ მაგის საშუალება?

— თუ არა მაქვს, ვისესხებ და შემდეგ ჩემი შვილიშვილი ალეკო, ვენაცვალე მის ვაჟკაცობას, გაისტუმრებს, თანაც მაგას ვუტოვებ მთელ ჩემს უძრავ-მოძრავ ქონებას!

ბესარიონს ერთი პატარა ქოხი, კატა და ძაღლი გააჩნდა. ეს იყო და ეს.

— რომ არ ეყოს მაგ ხარჯებს, ბიძია ბესარიონ?!.

— ოფშკვითი, ტყაჩირი, გეგუთი, პატრიკეთი — ამ მხარის სოფლები ყველაფერი მამაჩემის იყო და თამასუქებს ალეკოს ვუტოვებ, ვიცი, ნამუსიანი ბიჭია და მაგათ ვალის ჯავრს საფლავში არ ჩამატანს! ბესარიონი ვაგლახად არავის ვალს არ შეიწევდა, მით უფრო ამგენისას! — ეს სიტყვა განსაკუთრებით უყვარდა. ერთხელ, როცა მეზობელმა ბესარიონს ფინგანი დააყენა თავზე, აგენტის შემოწყრომაზე, — ჩქარა ფული, ჩვენ მივდივართო! ბესარიონმა, რაც შავი დღისათვის გადანახული თანხა გააჩნდა, გამოუტანა და თან დააყოლა — რადგანაც მიდიხართ და ამას მოვესწარი, გოგისვანიძეების დუქანში ჭიპილიას მარშითაც გაგაცილებთო!

შობის წინა დღეს ბესარიონმა დილაადრიან მიაშურა ბაზარს — ღორის ხორცი იყიდა, ყველი, წიწილა და სახაჭაპურე ფქვილი!..

„შემოვიდნენ წითლები, ატყდა დავიდარაბა, შენ მოგიკვდა მოხარბე, ფუთურიძე ბეჟანა!“ — შეცვლილი ვარიანტით მოიმღეროდა ბესარიონი და შინ შესვლამდე ერთი მუჭა პურის ფქვილი მიაფრქვია ჭიშკარს და ქათამიც ააკრიახა, რათა ეგრძნობინებინა, რომ შობას ისე ითენებდა, როგორც ეკუთვნოდა ბესარიონ ლორთქიფანიძეს!

ანეტამ ადრიანად დაიწყო წინასაშობაო დღესასწაულისათვის სამზადისი. სახლი დაალაგა და სამზარეულოში შეუდგა საქმეს, ქათამი მეზობლის ბიჭს დააკვლევინა, ბესარიონს თავის სიცოცხლეში სულდგმულზე დანა არ აღუმართავს!..

— კეცში შეწვი, ქალო, აბა, შენ იცი! — გასძახა ოჯახის უფროსმა.

— მაგაზე რა შეხსენება მინდა?! — შეეპასუხა მეუღლე.

ანეტა ხაჭაპურისათვის ცომის მოზელვას შეუდგა, რომ ატყდა ხმაური!..

ცოლ-ქმარმა თვალი მოჰკრა კატას, რომელსაც ბესარიონის სიმწრით ნაყიდი წიწილა მოეტაცნა და ქუჩაში გარბოდა!..

ბესარიონი არ დაიბნა, რაც მოხვდა ხელში, აიღო და დაედევნა. შეშინებულმა კატამ წიწილა გააგდო და სამაგიეროდ ბესარიონის ნატყორცნ დინამიტის ფითილს დაავლო პირი და წითელი ხიდისაკენ გაიქცა!..

ბესარიონი გამოეკიდა კატას, შეჯგუფებული ხალხი რომ ცნობისმოყვარეობით უყურებდა.

— გადაბრძანდით, ბატონებო, გადაბრძანდით! კატა გატენილია! — ქუჩაში ხელაპყრობილი ყვიროდა ბესარიონი და ცდილობდა გამვლელ-გამომვლელი ჩაეყენებინა საქმის კურსში.

ხალხის ტალღამ შეშინებული კატა უკანვე დააბრუნა და ისიც სახლში შევარდა. შევარდა და დინამიტიანად ბუხარში შეძვრა!..

არ გასულა წამები და კატა, თავისი დინამიტიანად, აფეთქდა და ბესარიონს მთელი ქოხი ჩამოექცა თავზე უჩვეულო ზამთრის დღეს!..

ასე ჩამწარდა ის შობის დღესასწაული ბესარიონ ლორთქიფანიძეს!..

გივი მეფისაშვილი

თამაზ ეგანოიძე

ძველი წლის ფანტაზია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეფექტთა ინსტიტუტს ცხოვრება გვთხოვს?!.
და თუმცა თბილისში ხშირ-ხშირად თოვს,
და თანაც მიდამოს ლამაზად რჩთავს —
ამისთვის ვერ ვიცლი და ვკითხავ თავს:
„რას მოგვგვრის სიახლე — კარგსა თუ ავს?
აიღებს თუ არა პრეფექტი ქრთამს?“

XXX

ჰოი, დედანი და ბებიანი,
კოხტად შეკერილ კაბებიანი,
ოჯახებიდან დასხლტებიანო
და მოშიმშილედ დასხდებიანო!..

ჰოი, დედანი და ბებიანი,
ღაწვებზე წითელ ვარდებიანი,
უცებ ვინმეზე გაწყრებიანო
და მოშიმშილედ დაწვებიანო!..

ჰოი, დედანი და ბებიანი,
მომავლის ბედით დარდებიანი!..
ყველას ვაფასებ, ყველას პატივს ვცემ
და მინდა იყვნენ გაგებიანი:

დაუფიქრებლად გარეთ ნუღარ გაცვივდებიან —
ყინვებია და გაცივდებიან!..

XXX

სპარსეთის ყურეში უკვე ომია,
ჩვენთან — ელექტრობის ეკონომია:
დგას ტელევიზორი, მორცხვად ჩამქრალი,
კვირადღეს გაზეთებს სულ აღარ უშვებენ,
ხე-ტყის ქვეყანაში ქაღალდს ვერ ვუშველეთ —
ერჯი არ გამოჩნდა კარგი სარქალი!..

XXX

იყო პირველი მდივანი, თათბირ-პლენუმზე მყივანი,
მართავდა თვალთა ბრიალით, მართავდა თითის ქნევითა
და ათასების შრიალით მათგან, ვინც იდგა ქვევითა!
წარვიდნენ ძველნი დრონია, პირველიც თან გაჰყოლია!..
...რაკი დადგება პრეფექტი სულ სხვა იქნება ეფექტი?!

XXX

დროის დანაბადია ეს აქტი უამური:
პარტიიდან გადიან ნიშნისგებით, ხმაურით!..

ახლა რომ ილანძღები, ახლა რომ იგინები —
ვისგანა გაქვს ნაძღვნევი ვილები და ბინები?!

თუ ბრდღვინავდი პარტლომად, გერტყა მედლებ-ჩინები —
ახლის მხურვალ მგალობლად ნუღარ მოგვევლინები!

— მამი! ღვინო ჩამომიტანე?
— არა, შვილო, ბენზინი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როცა ფუნქციონერის გეცვა პერანგ-ნიფხავიც —
გეყოს ძალი გონების, ჩუმად მაინც იყავი!..

XXX

არ მოჩანს ამ რთული საკითხის მომკვლევი:
ჩვენში თუ ვინ იყო პირველი ბროკერი!
მოდით, გავიხსენოთ იშვიათი წყვილი:
ჭიანჭველა-რწყილი!..

როცა ჭიანჭველა წააწყდა ფათერაკს,
რწყილმა შუამავლად გზები გადათელა,
ბევრჯერ ახტა-დახტა, ვიღას არ მიადგა,
ზოგს გულით ეხვეწა, ზოგთანაც იანგლა,
ძმობილის საშველად არვინ მოირიდა —
არცა მოყვარე და არც მტერი!..
რწყილის მეშვეობით ფეხი მოიკიდა
და მტკიცედ დამკვიდრდა ბარტერი!..

XXX

წალმა რომ დამიბრუნა ამ ცხოვრების ჩარხია,
დარდი რომ გამიბრუა — ეს მეორე არხია!

ქუჩა რომ დარჩა განზე, შევიყვარე სახლია —
ეს ხერგი გვარჯალაძე და მეორე არხია!

ნანატრი ხეკსბომბები იყოს, შენზე ახია!
მე კი გემშვიდობები — ეგ მეორე არხია!

XXX

ვერ დამიმალავს ეს გაოცება,
თვალდახელშუა ქრება ოცნება!..
რამ დაგვაბრმავა ყველა უცება,
ნეტავი, ვინ ვის ელაქუცება?!
რა გვეზეიმებ-გვეაღლუმება,
გული საგულეს ვეღარ ბრუნდება!..

XXX

(ძველი სიმღერის გახსენება)

რა ფულმა უნდა გაგიძლოს, რაა ფულმაა,
ბა-ზარ-ში რო-ცა წა-ხვა-ლო,
თუ დაგაქცია ზაფხულმა, ზააფხულმაა,
ზამთარში, რითდა გახვალოო?!
(გაგრძელება არ იქნება)

XXX

წავიკითხე ინტერვიუ, მეგობრებო, მომილოცავს:
კენიიდან გვპირდებიან კარგა ბლომად... ლომის ხორცსა!

გვიგზავნიან კარაქსაც (ცოტა კი ჰგავს არაკსა).
რამდენ რამეს შევიძლებთ, როს შემოვა მშრალი რძე!

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?!"
აწმყომ ბედთან შეგვყარა — ჩვენზე ზრუნავს კენია!

...იმ ბატონმა კანიამამ კუჭის წყლული დამიამა!..

XXX

„ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა," ან თბილისში ერის მტრები?!.
ხალხი ორად გაითიშა, თან გახშირდა შერისხვები!..

ვინ დათვალოს ცად ვარსკვლავნი, ჩვენში — კრემლის აგენტები?!.
სასიკეთოდ წავა საქმე ასე ყველას გამეტებით?!

XXX

აქეთ ურჩნი, იქით ურჩნი, აუბზუეს ერთურთს ტუჩნი,
გაემართნენ მთავარ ქუჩით — ასე გაჩნდა ჩვენში „პუტჩი".

საით წავალთ, როგორ წავალთ?! ისეთი გზის მე არ მჯერა,
რომლით ვზიდავთ ტყვია-წამალს, პურს, ხორცს, კარაქს, შაქარს — ვერა!

რაც ხელობად ავირჩიეთ ავტომატის მარჯვედ ჭერა,
სისხლის დაღვრას მივეჩვიეთ, ოფლისას კი — ვერა ჯერა!..

ნახ. ვ. კუციასი

— წამომცდა, ხურჯინში რომ
ცოტა სურსათი მქონდა დარ.

ფანტაზიები

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივცემულო მგზავრებო! ავტობუსებსა და ტროლეიბუსებს მოუარეთ უკნიდან, ტრამვაის — წინიდან, მაღაზიებს კი ხაერთოდ აუარეთ გვერდი!..

ჩვენი სამარცხვინოა წმყო მოტუუებული წინაპრების ნათელი მომავალი გამოდგა და ვერმოხატუუარი შთამომავლების უსახელო წარსული იქნება!

ეკონომიკა დემოკრატიული უნდა გახდეს, დემოკრატია — ეკონომიური!

შემოთავაზებული სვლისათვის — ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია — გარი კასპაროვს მოკლე როჭით უპასუხებია: ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობა!

პროდუქტების რიგებში ორგანიზებულია საცოლეთა და საქმროთა დათვალიერება-გაცნობა!

რიცხობრივად დადგენილმა და პიროვნულად დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა მილიციის რაიგანყოფილების ეზოდან გაიტაცეს სამსახურებრივი ავტომობილი. მილიციის რაიგანყოფილებამ მიიღო დადგენილება დაუდგენელი დამნაშავეების დადგენის თაობაზე. დაუდგენელი დამნაშავეების დადგენის შემდეგ მიღებული იქნება გადაწყვეტილება დადგენილ ბოროტმოქმედთა დაკავების შესახებ.

დადგენილია, რომ აღორძინების ეპოქის გენიალური იტალიელი მხატვარი ლეონარდო და ვინჩი ორ კაცს ერქვა. ერთი (ლეონარდო) ხატავდა, მეორე (ვინჩი) ითავისებდა!..

ხანძრის მჭრობელთა საერთაშორისო კონკურსზე პირველი პრიზი გულივერს მიეკუთვნა ჩაქრობის ყველაზე ეფექტიანი ხერხის დემონსტრაციისათვის.

1992 წლიდან ტელეკომპანია „ან-ბან-გან-დონ“ ყოველდღიურად აწყობს შეჯიბრებას პოლიტიკურ „პინგ-პონგში“. მსურველებს შეუძლიათ მობრძანდნენ წინასწარი განაცხადის გარეშე. პოლიტიკური „პინგ-პონგის“ ცქერა ერთობ სასარგებლოა კისერგაშეშებული ტელემაყურებლებისათვის!

განცხადებები იპოვა **ძირუ ლელიამ**

ჩემს საყვარელ, ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტ საქართველოს ვცვლი რესპუბლიკის პრეზიდენტის ან უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის სკამზე!

გემურაზ ვაიძართველიშვილი

ვცვლი 1972 წელს გამოშვებულ „426-მოსკვიჩის“ მარკის ავტომანქანას („ზაპასნოი პაკრიშკით“ და 1 კანისტრა ბენზინით) ამავე წელს გამოშვებულ ბეტეერსა და ტარკში!
მსურველებმა დარეკონ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში!

ზიზოიდ პარანოიკიშვილი
განცხადებები იპოვა **ნიკოლოზ იოსებიძემ**



ნახ. ი. უეინაშვილისა

უწარწერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტელეფონი საქიოში

პამფლეტი

— მოდიან!.. მოდიან!..

— ვინ მოდიან?!

— ქართველები!

...საქიოს ცენტრალურ მოედანზე მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს ჯარისკაცებმა. დარჩეული ბიჭები იყვნენ. მჩრეებზე ზემო მაჩხაანში დამზადებული ორლულიანი ავტომატები ეკიდათ. ქამრებზე — ეუთათური რაკეტები!..

— ჰაი, გიდი!

— აფსუს!

— ღმერთო, დაგელოცოს სამართალი!

ყოველი მხრიდან გაისმოდა სევდიანი შეძახილები.

ძაძებით მოფენილ მოედანზე ინტელიგენციის წარმომადგენლები გამოჩნდნენ.

ხალხი აჩოჩქოლდა. ტრიბუნაზე მდგომნი ტაშით შეეგებნენ ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და სახალხო მეურნეობის გამოჩენილ წარმომადგენლებს.

— ის მელოტი კაცი აინშტაინზე დიდი ფიზიკოსია!

— ვითამ?

— კუპუნიას გეფიცები!

— მის გვერდით რომ მოლაყუნობს, იგი ვინაა?

— აქაური პრემიის ლაურეატი!

— იმე!

— გეიხედე იმ კედაროს, ხედავ?!

— კი!

— ყველაზე წინ საქიოში ცნობილი პათოფსიქონევროანესტოლოგი მოაბიჯებს, უკან წიწაკაშვილი მოდის, მის გვერდით კი კიბეზე და შიდის წაშლაის გამომგონებელ ... ბანწკაია მობრძანდება! გეიგონე ყურში?!

— აპა, არა!

სარბენ ბილიკზე ქალიშვილები შემოგოგმანდნენ.

ბიჭებივით დარჩეული გოგოები იყვნენ — ჯიშიანები, მაღლები, ყელყელები, წელწვრილნი და მკერდსავსენი!..

— ესენიც ქართველები არიან?!

— კი!

დასცხო სამგლოვიარო მუსიკამ!

კაცები ქვითინებდნენ. გადაფიჩინებული მანდილოსნები მოედნიდან საკაცით გაჰყავდათ!..

— ეს ბაღნები სასიკვდილოდ რაფერ გეიმეტეს, ბოშო?!

— ამოუწყდათ მშობლები!

— დეეფსოთ თვალები!

— ასეთი გოგო-ბიჭები თავისუფალ საქართველოს ახლა ჰაერივით სჭირდება!..

და მაშინ, როცა შეძახილები მინელდა, რეპროდუქტორიდან მკაფიოდ გაისმა დიქტორის ხავერდოვანი ხმა:

— აღლუმი დამთავრებულია!

წამით დააყოვნა და განაგრძო:

— კომპეტენტურმა ჟიურიმ დაადგინა: დედის მუცლიდან აბორტით მოცილებულმა და საქიოში გამოზრდილმა ქართველებმა, პროცენტული რაოდენობით, მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავეს! ვულოცავთ ქართველ ქალებს აბორტებში რეკორდის დამყარებას! გმადლობთ ყურადღებისათვის!

დემეტრე ოთარაშვილი

შენ, წელო ახალო, რა უნდა მახარო,
თავში რა ვიხალო, თავი რას ვახალო,
როს გამოგვეფიტა მიწა და ტყე-ველი,
აქეთ — პლანტაცია, იქით კი — მაღარო!..

შენ, წელო ახალო, ვინ იტყვის, რა ხარო,
რითი დაიწყები, სადამდე გახვალო,
რა სიურპრიზს გვიმზადებ ან დღეს და ან ხვალო,
რა უნდა აღმართო, რა უნდა დახარო!..

შენ, წელო ახალო, ამ დროის მაყარო,
ეცადე, სიკეთის ნერგები ახარო,
მშვიდობით ამყოფე ეს ჩვენი სამყარო,
მოძმისგან ძმის სისხლი წვეთი არ დაღვარო!..

ე. ფამაზაშვილი



მეგობრული შაржი თ. ბიგოლაძისა

ჯაბუა ამირეჯიბი — 75

„ნიანგის“ სტუდიაში მიუოსკვრეა

პერსონაჟები გვიხასიათებენ

წარწერა წიგნზე „დათა თუთაშხია“

რომანზედ დამთენებია,
ფანჯრებში რიბირაბოა;
რა ზვრები, რა მტკენებია,
ამირეჯიბო ჯაბუა!
ლენოფა აგიცელია,
მორჩი კეთილი გიცვნია;
რა წიგნი დაგიწერია,
რა სიკვდილები გიგრძნია!
გამხმარო, გაძვალებულო,
მეკობრეკ, ბერად შემდგარო,
სიცოცხლეგამწარებულო,
სიკვდილისაგან ვერმკვდარო!
თეთრს ცხენზედ ამხედრებულო,
მწუხარე სახის რაინდო,
სოფლისგან გამეტებულო,
შენთან ბევრი მაქვს საერთო!
მიყვარხარ — ცერად გავლილო,
მიყვარხარ — ვეფხვად მხტომარე,
მიყვარხარ — ეხლა დაღლილი,
სენაკში — სანოლით მჯდომარე!
ლენოფა აგიცელია,
მორჩი კეთილი გიცვნია,
რა წიგნი დაგიწერია,
რა სიკვდილები გიგრძნია!
ბრძოლები განგიკვრეტია
ბრძენის, ასკეთის ღირსებით,
ცხოვრება დაგიჩერეტია
კეთხვა-ძახილის ნიშნებით!
სიცოცხლის სამზღვრად
გდებულო,
სიკვდილით ბევრჯერ შემკრთალო,
საკვდავად გამზადებულო,
ვერა და ვერა, ვერმკვდარო!
წიგნს სისხლით ნაწერს
კეთხულობ
(მეც სისხლის ნოხევით
ვმღერიდი!)
შენთან ერთობით ვდიდგულობ, —
„ვამაყობ საქართველოთი!“

მურმან ლებანიძე
1978

„კრემლის და სუკის აგენტო“,
„სამშობლოს მოღალატე“,
„შე იგეთო და აგეთო“,
თავი რად მომანატრე?!

ცალკე — „ხუნტელო“,
„პუტჩისტო“,
„უაჩალ-ბანდიტო“ — ცალკე.
„დაუნდობელო“, „უსისხლოო“.
ძმაო, სად დამეკარე?!

„მკვლელობის მცდელო“,
„მძარცველო“,
„დამგმობო ქრისტეს ჯვრულის“.
„თაღლითო“, „ქურდო“,
„დამსმენო“,
არ გაიტეხო გული!..

„ტერორისტ-მავნებელნი“ ხარ,
„ჭართველი ერის მტერი“!..
თუმც „წმიული ხარ ხელიდან“,
მწამხარ არსებით მთელითან!

ვერვინ მოგეკამოს ფეხებიც, —
უკვდავი „დათას“ ავტორს!
გილოცავ, გკოცნი, გეხვევი,
მიყვარხარ, გელი, გნატრობ!..

P. S.

ბებიაშენი
ელისაბედიც
ყოფილა, თურმე,
კრემლის აგენტი!..

ხარ კლდე, ზეშოვარი,
ღონით ბგავხარ ზღვის ღელვას,
გაქვს უკვდავი რომანი —
ცისკრის ვარსკვლავისხელა!..

გაავს მეუღლე — ქალღმერთი
და პოეტი ნამდვილი,
ექვსი შვილი — ალეკეთის
მგლის ლეკვებად დაზრდილი!..

თუმცა დიდი დათა ხარ
(ერმა შუბლი გიკოცნა!),
გიიხსენე ხანდახან
მზეკბაუკი კოკოცა!

როგორც ბეერმა აღნიშნა, —
მოვალე ხარ, გვიწერო,
და „ნიანგი“ აგვივსო, —
რედკოლეგიის წევრო!

მზეკბაუკი კოკო — ჯაბუა ამირეჯიბის ფსეუდონიმი.

„დამტკიცებულად“
ამაზეც გვიტყვის,
ალბათ, გაზეთი
„ეკრუზია სპექტრი“!

●

მზეკბაუკ, ანუ ჯაბუავ,
როცა იყავი ჯაბუი,
ძირგამომთხრელობისათვის
ციმბირში თხრიდი ჯაბურღილს!..

კი, საკითხავი რომანი
გაქვს და გაბრწყინებს მზესავით,
მაგრამ შენია თუ არა?! —
ჭერ საკითხავი ეს არის!

რაც შენ მიხელ ბორბაჩოვს
ლია წერილი მისწერე,
დაშლა სამეთოა კავშირის
უფრო დაჩქარდა მის მერე!

ტრანსკავკასიის რკინიგზის
საქართველოდან გაყვანას
ხეობდა, — დამპყრობლის
ჭარებს
რომ მოგეთხოვა! გაყვანა!..

●

ამა სალალობო ლექსით
სიმართლის თქმას გაგიბედავ:

თუთაშხიას ნაცვლად შენში
ზოგი ზარანდიას ხედავს!..
ოც წელს იყავ პატიმარი,
ხეთ წელს დაყავ აბრაგებთან!..
სანამ საქართველო არის,
შენი გვარი არ ჩაქრება!
უდიდესი სიხარულით
მოგილოცავ დაბადებას!
ქოსი რომ განქარდება,
გეტყვი უფრო მაგარ ქებას!

ზაურ ბოლქვაძე

●

ყველა გადაგვრიე „დათათი“
ღამე გადავლიეთ ათ-ათი!..
რასაა, რომ არ წერ, ჯაბუა,
სეგედმა დაადო ტაბუა?!.

●

მაგაზე, ბატონო,
ყველა ალალია,
მწერლისთვის პატივი
არსებობს რაც კი!
ასეა ნამდვილად,
თუმცა, რავარია, —
აბრაგმა გაგზადოს
ცნობილი კაცი!..

თამაზ ეზანოიძე

ბეჭარ გვალია

ჯაბუა ამირეჯიბი დაბადებით იხეთი კაცი იყო, მას რომ ეხმიოდა, იმ სიმართლის ხელისთვის ბიფალს არ დაერიდებოდა და თავს არ დაიზოგავდა!.. მაგრამ ერთ დღეს ყელი მოუვიდა: ყველა ძეხორციელი ჩემისთანა და ჩემზე უძლიერი რატომ არ არიან?! მამამისი არაელი ამირეჯიბი და თვითონ ჯაბუა რომ იყვნენ, ყველა კაცი იხეთი თე იქნა, რა უჭირს მაშინ მაღლა ლეჩრთს და ძირს ერსს! არ გამოდის ასე! ყალმი რა ქონდა ჯაბუა ამირეჯიბს, არ ვიცი მე. თავები დღე და მოსწრება ერერთდა ყველას საკმეში. მტერიც ბევრი გაიჩინა ამით. მართალია, ეს მტერები ცუდი და ჭლაბა კაცები იყვნენ, მაგრამ უარეხია ეს — კარგი კაცის მტრობის იმდენი ნუ შეგეშინდება, ცუდი კაცის მტრობის გეშინოდეს უფრო!

თიქვა ქაქუა

ვიცნობდი რომელიღა! ჯაბუა ამირეჯიბი იხეთი კაცი იყო, უმზგავსობას ვერ მოითმენდა ჩიერეფიდი უსაფუოდ. და ამ ხალხს ცხოვრებაში ჩარეცვა ხაქმეს შორს წაიყვანდა ძალიან.

— რას არის, რომ ლაპარაკობ, თიქვა! — გამიწყრა ჯაბუა. — მაგენს ხაქმეში ჩარეცვა რა ჩემი ხაქმეა?! შეუცდი ერთხელ და რომ შეუცდე კიდევ, არ ივარგებს!

მას მერეც ბევრჯერ მინახავს ჯაბუა ამირეჯიბი. ცუდ ხაქმეებს ლაპარაკობდენ ჭაბუახან, მაგრამ არ მჭერა მე ისინი არც ერთი, არ არის ჯაბუა ჭლაბა ხაქმის მქმენელი კაცი!

ნიკიფორე გუბუტეიშვილი

ჯაბუა ამირეჯიბმა იხეთი ლაპარაკი იცოდა, რაზეც გინდა, იმაზი დაგარწმუნებდა!

ფოხე ჯამთარაძე

— მე რომ ადამიანს და მის ზნეს ვხედავ, მოხე-ბატონო, ყველა კაცი იხე ცხოვრობს და იქცევა, როგორც თვითონ მოსწონს, და სხვა კაცი მის ხაქმეში არ უნდა ჩაერიოს, არ უნდა შეუშალის ხელი! — მითხრა ერთხელ ჯაბუამ. — ფიცი დამიდვია, ალარ ჩაეერევი ალარავის ხაქმეში, სანამდე არ დაეარწმუნდები, ჩარეცვა ჯობს თუ ჩაერეცლიხა!

ბადაშდარი კორეიანი ანდრიეშანი

ჯაბუა ამირეჯიბი მაღალია, შესახედავად — წარმოსადეგი. აქვს შავი თვალები, ნატიფი ცხვირი, ბეჭერან წეოვები. კოხტაც, ბიხდენილიც იქვაბს. უყვარს თეირი წინდები, შავი ფერის ინგლისური კოხტაფეები და ზმორად იცვლის ერთიმეორეზე უკეთეს მანკანებს. ერთი სიტყვით, მის არისტოკრატ თანამეგობრეთაგან თითქმის არაფერით განსხვავდება.

მუშნი ზარანდია

მას, ყველა-ფერთან ერთად, დიდი ნებისყოფაც აქვს, ჩეზე მეტი. მე ვიცი, რომ ხოლქმნილი ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ამირეჯიბი ამ კაცთაგანია, რომელნიც ხოლქმნილებისთან ყველაზე ახლოს არიან!

(დასასრული მე-17 გვ.)

ანეკდოტები

— ბატონო დათა, ხალხს დღემდე ახსოვხარ! ამას წინათ ჩემთან ტელეფონით დარეკეს. ყურმილი რომ ავიღე, ქალის ხმამ მკითხა: რომელი ხარო? დათა ვარ-მეთქი, თუთაშხია, ვითომ შევეხუმრე. მაპატიე ალბათ. იცი, რა მითხრა? ვაი, შენს პატრონს, შენსას, დათა რომ იყო, თუთაშხია, რა გიჭირს მაშინო?!

— აბა, კაი შორს გამვარდნია სახელი!.. რა უნდა მოხდეს აქ?

— ინტერვიუ მინდა ავიღო შენგან და აი, შეგაწუხე, მოგიყვანე!

— აიღე, თუ გჭირია!

— მჭირდება, როგორ არა! რედაქციამ დამავალა!..

— ერთს გეტყვი, აბა, მაინც: შენ რომ ხარ, მისთანა კაცის დაბეჭდვისათვის არ ღირდეს, ეგებ, მე რომ ვარ, მისთანა კაცის მოცდენა და თუ გიფიქრია ამაზე?

— კი მიფიქრია. ამ ბოლო დროს სამსახურში იშვიათად დავდივარ, სულ რიგებში მიწევს დგომა, რიგი კი ისეთი ადგილია, დათა-ბატონო, რომ კაცი იქ განუწყვეტლივ ფიქრობს, რას არ ფიქრობს!..

— მერმე?

— მერმე მე აქ საქმეს ასე ვუყურებ: იმხელა რომანი რომ დაწერეს შენზე, შენ იქ ჭკვიანი, შორს გამხედავი კაცი ჩანხარ. დიდი სიბრძნეა ამ წიგნში ჩადებული და შენი პირით ნათქვამიც ცოტა როდია. ახლა ისეთ დღეში ჩავვარდით ქართველები, რომ გონიერება და წინდახედულება ძალიან გვჭირდება!..

— რასაა, რომ მეუბნები?! არ ვიცოდე, თითქოს! გადაგძლევთ ხოლმე განსაკუთრებულობის გრძნობა და ხელს გიშლით ეგ, გიჭირთ მერმე მოზომვა! გადამეტებაგადაჭარბებაც არ უნდა იყოს თქვენთვის უცხო კიდევ! ზიანი მოაქვს ყველაფერ ამას!..

— ერთი ღვთივგამორჩეული კაცი გვყავს, ამას წინათ წიგნი გამოაქვეყნა. მერმე ის კაცი მაღალ თანამდებობაზე აღმოჩნდა, შეიძლება ითქვას, ძალიან მაღალზე! მაშინვე დაუწერეს გაზეთში — წიგნი ახალი ეტაპია ქართულ მეცნიერებაში, წიგნი ასახავს ქართული სულის თვითშემეცნების ეტაპებს და მის როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაშიო, და, რა ვიცი კიდევ!.. ერთ მაგალითსაც მოგახსენებ: ამ ექვსი წლის წინათ შთაბეჭდილებათა წიგნში ერთგან რაც ჩაუწერია, ახლა გამოაქვეყნეს ფოტოპირით!... ბატონო დათა, გეკითხები: რა ჰქვია ამას და მრავალ სხვა მსგავს რამეს?

— მლიქვნელობაა ეგ და გაკულტების ნიშნებია, თანაც არ შეგძლებიათ, ბიძიკო, უკულტოდ ცხოვრება, ისე გამოდის! არ უნდა ჭირდებოდეს მაგ კაცს ამგვარი რამეები, დაანებონ თავი! სწორს გეუბნები, ელოს სულს გეფიცები!..

— საერთოდ, ბევრი უცნაური რამ გვემართება: გახსოვს, ალბათ, ერთხელ რომ სხვისი ნათქვამი გაიმეორე— ქართველობა ძნელიაო! იქვე ისიც თქვი: სუფრასთან გვიყვარს და ცამდე აგვყავს ერთმანეთი, თორემ სხვა დროს სულ ერთურთის დაცინვასა და ლანძღვაში ვართო! გაქილიკება და გაკილვა ახლა უნდა ნახო, სავსეა ამეებით გაზეთები!... ეგეც არ ვიკმარეთ, ქართველებმა ტყვიები დავუშინეთ ქართველებს!..

გეხსომება, რასაკვირველია, შენ და ნანო თავყელიშვილი დალუქულ პაკეტებს რომ უგზავნიდით ერთიმეორეს. ახლა? ვინღა დებს კონვერტში წერილს, ღია წერილების გამოქვეყნება ქცეულა მოდად! პირდაპირ გაგიკვირდება, იმდენი ვინმე და ისე ადვილად ლაპარაკობს ქართველი ერის, ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს სახელით! ნიაღვარივით მოდის ფორმულები — „ქართველი ერის უზენაესი ნება“, „ქართველი ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა“. „სრულიად საქართველო ფეხზე დადგა!...“

— დამიბარე შენ და მოვედი აქ, ვნახავ, ვიფიქრე, რით ასაზრდოებს ეს ხალხი თავის გულსა და გონებას?! ზოგს მგლის მოდგმა შევატყვე — საჭმლის შოვნისათვის ცხოვრობს მხოლოდ, ზოგს კურო ხარისა — ბალახი და ძროხები სჭირია მარტო! ყველამ არ იცის, მგონია, რაა საკეთებელი და ნამდვილი საქმე, სახელი და ლიდერობა კი გინდათ და მიტომაა, რომაა ეგ!..

— ამას წინათ უზენაესი საბჭოს სესია მიმდინარეობდა. გახურებულ სამუშაო საათებში ზღვა ხალხი მოგროვდა მთავრობის სასახლესთან. ტელერეპორტიორმა მიკროფონით ხელში ჩამოუარა ზოგიერთს. გამოიცანი, რა თქვეს: ერთმა — ახლა მკლავები უნდა დავიკაპიწოთ და ისე ვიმუშაოთო! მეორემ — ოფლი უნდა ვიდინოთ, ისე ვიშრომოთო! მესამემ — მუხლჩაუხრელად უნდა გავისარჯოთო!..

— მუშაობა, შრომა და გარჯა თუ უნდოდათ, მამაცხონებულებს, იქ დგომას, წასულიყვნენ თავთავის სამსახურში, ვინ უშლიდათ, ნეტავი?! ის ათასობით კაცი შვებულებაში ხომ არ იქნებოდა წასული ყველა?!

— შვებულებაში არა, მაგრამ წვეროსნობაში კი იყო წასული ბევრი!.. შენს დროს, ბატონო დათა, აბრაგები უშვებდნენ, მგონი, წვერს?!

— აბრაგები და ანარქისტებიც, აქა-იქ. წვერის მიშვება, ბიძიკო, არც აუცილებელი პირობაა პატრიოტობისათვის და არც საკმარისი, ასე ვიტყვი მე! იმდენი მათემატიკაც მისწავლია და ლოგიკაც, რომ მივხვდე ამას! ერისკაცი როცა ხარ, ფიქრი არ უნდა დაგელიოს და

საზრუნავი, არ უნდა იყო გულხელდაკრეფილი და არ უნდა უყურებდე მშვიდად შენს ქვეყანას, მარა არც მოსაჩვენებლად უნდა იბრაგუნებდე მკერდში მუშტს და ხმამაღლა გაჰყვიროდე, მამულიშვილი ვარო!

— ყვირილზე გამახსენდა: ნეტა მოგასმენინა, ზოგიერთი ჩვენი მანდილოსანი პოლიტიკოსი, მოდურად გარევოლუციონერებული, რა გაანჩხლებით გასწივის და გაჰკივის!..

— **არ უნდა იყოს პოლიტიკა დედაკაცის საქმე, ასე მეჩვენება მე, არ უნდა უხდებოდეს ქალს ის! მარგარეტ ტეტჩერიო, მეტყვი, მარა მაგისთანა ქალი ორმოცდაათ წელიწადში ერთი იბადებოდეს, ეგებ, ან ას წელიწადში სულაც!..**

ძველ რომაელებს უთქვამთ, მგონია: ძალაუფლება საწამლავიაო! ტუტუცი კაცის ხელში ძალაუფლება საშინელებაცაა და ბრიყვი დედაკაცის ხელში — ორმაგი საშინელება იყოს, მგონი, ერთად! პოლკოვნიკი სახნოვი იყო ასეთი ტუტუცი, გახსოვს შენ!..

— კარგია, უშნოდ აყვირებული ურა-პატრიოტები რომ ჩაჩუმდებოდნენ, მაგრამ შენი მამობილი ჭაბუა ამირეჯიბი, ნამდვილი ერისკაცი, რატომ უნდა იყოს გაჩუმებული ამდენ ხანს, ვერაფრით გამიგია?

— **შენ რომ გკითხოს კაცმა, კორესპონდენტო-ბატონო, გულქვა და მიუხვედრელი კაცია ჭაბუა ამირეჯიბი, თვარა, მოვიდოდა შენთან, აუჩუყდებოდა გული შენი გამოფხეკილი ჯიბის დანახვაზე და გეტყოდა — ა, კალამი და ა, ქაღალდი, მე ვილაპარაკებ, შენ ჩაიწერე და მერე ჰონორარიც შენ აიღეო!.. იმან ჩემი პირით რაც თქვა და როგორც თქვა, მეათედს იტყოდეს ისე და ისეთს, გამოჩნდებოდეს ვინმე!..**

— არა ვარ ჯიბეგამოფხეკილი! ათი ათასი მანეთი მომცეს ამ ინტერვიუს ავანსად!..

— **კაი, აბა, მკითხე კიდევ, რა გინდა!**

— დედამიწის ზურგზე ეს უკანასკნელი საბჭოური იმპერია რომ ასე მოირყა და შეზანზარდა, რა უნდა ქნას და რა უნდა იღონოს?

— **ეს იმპერია ისე იყო აგებული, რომ გაებოროტებინა კაცი და სიძულვილი ჩაედო გულში. იმ ზომამდეა მომპალი ახლა, რომ რასაც იზამს და რასაც იღონებს, ყველაფერი მის წინააღმდეგ მოტრიალდეს ეგებ! მომაკვდავ ქვეყანას, ბიძიკო, პრეზიდენტიც თუ ჰყავს გაშიშვლებული და ნიღაბჩამოგლეჯილი, აღსარებისა და სანთლების მეტმა რამ უნდა უშველოს, ვითომ?!.**

— შენ რას იზამდი პრეზიდენტის ადგილზე, როგორ მოიქცეოდი, დათა-ბატონო?

— **მივატოვებდი კრემლს და წავიდოდი, საზღვარგარეთ ვიცხოვრებდი სადმე... ოღონდ ოხუნჯობაა ეს, მიხვდი, ალბათ!**

— ხალხის ადგილზე?

— **დაველოდებოდი კაცს, დანარჩენებს რომ აჯობებდა, ისეთს, ყველაზე გონიერსა და სამართლიანს!**

— მერე, გაყვებოდი იმ კაცს?

— **გავყვებოდი, მარა, ორი პირობა სჭირია ამას: ის კაცი, ძველი რომ გადააგდო, იმასვე არ უნდა აკეთებდეს ისევ, რაც მანამდე იყო! კი, ძნელია, ძალიან მთლად ახალს აკეთებდე და საჭირო თუა, საკითხავია ისიც-ზოგს ჰგონია, შეხედულებები განაგებს ქვეყნიერებას, ზოგს კიდევ — პური. მე თუ მკითხავს ვინმე, ჯერჯერობით ისეა, რომ შური, სიხარბე და პატივმოყვარეობა განაგებს ქვეყნიერებას! ბოროტები ვართ ადამიანები, გაუტანლები და დაუნდობლები! როცა ვიბადებით, უარყოფითი არაა ცოტა ჩადებული ჩვენში და როცა ვიზრდებით, როგორ ვახერხებთ და რამდენად ვახერხებთ მოვერიოთ იმ უარყოფითს, ისე და იმდენად ვჩანვართ ცუდები ან კარგები! დამარწმუნოს ვინმემ, ძველს მოვხსნი, ახალს დავნიშნავ მასზე კარგს, ძველს დავანგრევ, ახალს ავაშენებ მასზე კარგს, ისეთს, ადამიანს უკეთესს რომ გახდისო — გავყვები მას და თუ გავყვები, გამოვადგები, მგონია! სხვა რომ გამოდგება, მასზე უკეთესად თუ არა, მასავით მაინც!..**

— კარგა ხანია, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წამოვიწყეთ; ეგებ დაუნახავი და გაუგებარი კაცი ვარ, ბატონო დათა, მაგრამ შიგადაშიგ ეჭვი მაწვალებს, ეს მოძრაობა ზოგჯერ ხელისუფლებისათვის ბრძოლას ან, კიდევ უარესი, ახალი დიქტატისათვის ბრძოლას ხომ არ ემსგავსება-მეთქი?! იმ ბიძიებსაც, ამ ბიძიებსაც ხშირ-ხშირად ვამჩნევ ამბიციებსაც!

— **რასაა, რომ მიხსნი?! იმ ბიძიების საკეთებელსაც და ამ ბიძიების საკეთებელსაც საქართველოსათვის მათი ძმობის სიწმინდე ჯობია ნამდვილად! ეროვნულ მოძრაობას პირი უნდა ჰქონდეს ერთი, მხარი უნდა ჰქონდეს ერთი და ჭკუაც, რასაკვირველია! ჯერ წესია ეროვნული მოძრაობა და მერე ეროვნული მოძრაობაა ეროვნული მოძრაობა!.. ჭკვიანი კაცებიც რომ ჩადიან ზოგჯერ უწესობას, როგორაა ეს, მაცოდინა ნეტავი?!.**

— ახლა ერთი სენიც შეგვყრია, ისეთი, ადრე რომ არ გვჭირდა: შიმშილობის გამოცხადება ქცეულა მოდად და მას კონტრშიმშილობაც ამგზავრებია. ერთს ვერ მივმხვდარვარ: ხანდახან იმდენი ადამიანი შიმშილობს და საჭმელი მაინც რომ არ არის!..

— **შიმშილობის გამოცხადებას მიზეზი უნდა ჰქონდეს მაღალი და გამართლებული, წამხედურობაა სხვაფრივ. მხეციც შიმშილობს ზოგჯერ, მარა იცის, სასარგებლო რომაა და შიმშილობს მიტომ! ვთქვი მე წელან და ისეა შიმშილობაც: წესია ჯერ და შიმშილობაა მერე!..**

დავამთავროთ, თუ კაცი ხარ, უნდა ავჩქარდე აწი, ბოლაზში ფელუკა მელოდება თათრის, სამსუნში ვარ გასასვლელი! მთელი საქართველო თურქეთში დადის, ვნახავ ერთი მეც, რა ხდება იქ! ხუთი ათასი მანეთი მჭირია ახლავე და უნდა მასესხო შენი ავანსიდან! თუ ვერ დავბრუნდი ცოცხალი — მოგჭამა ჭირი მაგ ფულებმა! თუ ვერ მოგიხწარი ცოცხალს — შენს ოჯახს დავუბრუნებ მაშინ! თუ ვიცოცხლეთ ორივემ, არ დაგეკარგება, იცი ეს შენ! რას გეტყვი კიდევ, თუ ხათრი გაქვს: მუშნი ზარანდიას ჯავშანტრანსპორტიორი მიჰგვარეს ამას წინათ ჩემგან საჩუქრად, ბენზინის ჩასხმა რომ არ უნდა, ისეთი. ბარათს გაგატან ოთარ მეღვინეთუხუცესთან ახლა და გადაეცი, საახალწლოდ თენგიზ არჩვაძეს გაუგზავნოს უეჭველად!..

ინტერვიუ აიღო თამაზ ეგანოვიძემ

ნახ. ბ. ზუბაშვილისა

თუთაშხია—2

ქართველ მაყურებელს კარგად ახსოვს იტალიური სატელევიზიო ფილმი **„რვაფეხა“**, ბოროტებასთან მებრძოლი კომისარი კატანი, თითქმის კატანიაა და თუთაშხიას გარეგნობაშვილი. ეს ფილმი მრავალსერიიანი იყო და თანაც რამდენიმე სერია ერთ ბლოკად გახლდათ შეკრული. ამიტომ ერქვა მათ **„რვაფეხა-1“**, **„რვაფეხა-2“** და ა. შ. **„დათა თუთუშხია“** შვიდ სერიად გადაიღეს, ბოლოს მთავარი გმირი ზღვაში ჩააყურყუმალავეს და ამით დამთავრდა ყველაფერი!..

როგორც გამოირკვა, მთლად ასე არ ყოფილა საქმე. **დათა თუთაშხია** ზღვაში არ დაღუპულა, ასეთ კაცს რა მოკლავდა! გვარი გამოუცვლია, **ჭაბუა ამირეჯიბად** გადაქცეულა, კაი 16 წელი ციმბირის ბარაკები უხეხია, თუმცა, რამდენჯერმე გაქცევ-გამოქცევისათვის „სროკი“ „სროკზე“ მიმატებია და ბარე 83 წელი გამოსვლია ჯამში! საქართველოში მწერლად დაბრუნებულა. როცა ეროვნული მწერლები ეკითხებოდნენ, — ჩვენ რომ ვმოღვაწეობდით, მაშინ შენ, საბჭოთა ინტელიგენტო, რას აკეთებდიო, — „დათა თუთაშხიას“ ვწერდიო, — უპასუხია და კითხვა შეუბრუნებია — თქვენ რას წერდითო?! იმ ეროვნულმა მწერლებმა, ეგრე არ უნდაო, და ისეთი რამეები დაწერეს **ჭაბუა ამირეჯიბზე**, რომ თავზე ხელი ააღებინეს და აბრაგად გავარდა!..

დათა თუთაშხიას ძმადნაფიცის **ბექარა ჯეირანაშვილის** ნათქვამი გავიხსენოთ: **„უაჩადად გახული კაცისთვის საქართველოში ხომა ყველა ადგილი მოხერხებულია, მაგრამ საბრაგოდ იმისთანას მაინც ნურსად და ნურავინ იტყვის, რაც დათამ მუშტარა და ჭაბუნა“**. დავიჯეროთ, **დათა თუთაშხიამ ბექარას** აჩვენა ეს ადგილები და თავის ავტორს — **ჭაბუა ამირეჯიბს** არაფერს გაუმხელდა?!.

იცის ეს ადგილები **ჭაბუამ** და ტყუილად არის არხეინად დღევანდელი **ნიკანდრო ჭილია** გადმობირებული რაჟა სარჩიმელიას იმედით: ასე იოლად ვერ შეასრულებს მუშნი ზარანდიას დავალებას!

ბრაფი სებედი: **„საკმაოდ დიდი დრო მოანდომა მუშნი ზარანდიამ დიდი მოღულის ხალიჩასთან დაკავშირებულ ოპერაციას და პოლკოვნიკ სახნოვის გზიდან ჩამოცილებას, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეუნელებია ყურადღება ჭაბუა ამირეჯიბისადმი. ვითომ შემთხვევით ჩაუგდო ხელში ერთ ხელმრუდე ჟურნალისტს ამირეჯიბთან დაკავშირებული საიდუმლო სამსახურის მიერ ფალსიფიცირებული დოკუმენტი. მუდმივი ამქვეყნად არაფერია, მათ შორის მთავრობაც, მაგრამ მუდმივი იყო ამ ჟურნალისტის ერთგულება ნებისმიერი მთავრობისადმი და ამიტომ არც დაუყოვნებია დოკუმენტის გამოქვეყნება, რაკი იყნოსა ხელისუფლების სურვილი და რაკი ჯერ კიდევ ეწვოდა ათიოდე წლის წინათ ჭაბუას მიერ აწითლებული ლოყა. მუშნი ზარანდიამ ეს ყველაფერი გაითვალისწინა. მეც არ დავუშალე და ვიგრძენი, რომ ჩემს სულში კიდევ ერთი სტერეოტიპი დაირღვა: ქურდს არ უნდა აჩუქო სხვისი ნაქურდალი ახალი სისაძაგლის ჩასადენად!“**

ბექარა ჯეირანაშვილი: **ჩემი ხელით მივუტანე ი ვერანა გაზეთი ჭაბუას. როდი გაცეცხლდა, კაცო! ერთი კი ჩაილაპარაკა ნაღვლიანათა: „ფეხი არ ყოფილა ჩემი აქ, აქაც ჩემი სახელით გააკეთეს ბოროტება!.. საიდან მოდის ეს ამბავი — ვიცი მე. მთავრობიდან მოდის, მაგრამ მთავრობა მხოლოდ ბრძანებს ამას და შესრულებით — ბოროტი კაცები ასრულებენ, ხალხში რომ არიან გარეული ცხვრის ტყავში გახვეული მგლებივით!.. უამკაცებოდ ვერას გახდებოდა მთავრობა და კაცებიც თავს არიან გახული — მთავრობა მათ მხარეზეა, კანონი არ მიუდგება, იციან მათ“.**

ჰაი, და-და-და! განა არ ვიცი, რომ ჭაბუა არაფერი „წითელი ინტელიგენტი“ და „კრიმინალი“ არ არის, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიე, წამოსულიყო და დღევანდელი ყანდური თონეში გადაგვეყირავებინა საწყობიდან მოპარული შაქრისა და ბურღულის ტომრებიანად, კარაქისა და „მარლბოროს“ ყუთებიანადა!..

დათა თუთაშხია: **„არ გამოგადგება მაგი, ჭაბუა, ბიძიკო! ვიცი მე, არ ხარ მარტო ჩემს იმედზე, მაგრამ სხვის გაკეთებულ ბოროტებას სულ რომ შენ მოგაწერენ, რა არის ეს, ნეტავი?! კი იცი შენ, ჩემთვის ცხენის ქურდობა მაინც არ დაუბრალებიათ, იმიტომ ალბათ, რომ ნაწილებად დაშლას და ისე გაყიდვას ვერ მომაწერდნენ, არ იშლება ცხენი ნაწილებად. ასეა ეს. არ მჯერა, შენ რომ ტელევიზიის წინ თოხივით გადაგეკიდა ავტომატი და ჩემნაირი სოფლის კაცებისთვის სუნიანები და მუნიანები გეძახა! არ ხარ შენ მაგის კაცი და არც ასეთ კაცებში გაერევი, მე მგონია! ეს ჭორი, თვითონ რომ სუნიანი კაცებია, იმათი მოგონილია ნამდვილად. ბონდო გახსოვს შენ, უვალთავა: არ დაიჯერა მან ჩემი სიგლახე. ბევრი ვიფიქრე მე ამაზე: არ დაიჯერებენ შენს სიგლახესაც, ჭაბუა, ბიძიკო! რომ ეგონებათ, ხალხმა დაიჯერაო, მაშინ წავა იმათი საქმე ცუდად! საკუთარ ტყუილს რომ დაიჯერებს კაცი და სხვა კაციც რომ გაბრიყვებული ჰგონია, ე, მაშინაა დაღუპული. არ გესწავლება ეს ჩემგან, ჭაბუა ბატონო! ისიც ვიცი მე, კიდევ იცნობ ჩემნაირ კაცებს, სხვანაირებსაც, დაწერილიც გაქვს მათზე და რატომაა, რომ დროზე არ გამოაქვეყნებ, ნეტავი?! მარტო ჩემი ნათქვამი ხომ არ გგონია, შენიცაა ეს სიტყვა: „ჩვენ თუ ვმარგლეთ, სხვაც მოგვბაძავს, სამართლიანობა თავისას იზამს, მომრავლდება ჩვენისთანა კაცები და ბევრი ვიქნებით. მაშინ, სათავეში რომ ბოროტებაა, იმაზეც მიგვიწვდება ხელი!“**

სამოცდაათი წელი შეგსრულებია, ჭაბუა, ბიძიკო! კი ვიცი მე, ამ ასაკში ვერ შეძლებდი საბჭოთა 83-წლიანი სასჯელის მოხდას და აქეთ, ეროვნულ მთავრობაში გადმოგყვა ვალი! არ ხარ შენ ის კაცი, სხვისი ვალი რომ შეირჩინო, მაგრამ ვერ შეირცხვენს თავს ახლანდელი მთავრობა და საბჭოთა ვალის დაბრუნებას ვერ მოგთხოვს! სულ ტყუილად ირჯებიან ამიტომ ის კაცები, შენს წარსულში რომ იქექებიან! ჩემთან ექნებათ საქმე! ასეა ეს, ჭაბუა, ბიძიკო!“

რომან მიმინოშვილი

პერსონაჟები გვიხასიათებენ

დასასრული

დათა თუთაშხია

ეჭვიანი ვარ მეტისმეტად. ხშირად ისეთი არ მჯერა, დასაჯერიც რომ არის და სიმართლეც. ცხოვრებამ მიქნა ეს, თვარა ადრე მიმნდობი ვიყავი და ის არ მჯეროდა, ეშმაკობა და ხიცრუე თუ იყო ქვეყანაზე.

ქუთაისში ძმაკაცმა დუქანში შემიპატიჟა საქეიფოდ ერთხელ. ორი სხვა შემოგვიერთდა მერე, მწერლები, და უსაშველო სმა ატყდა, მაგარი სმა. ჭაბუკა ერქვა ერთს იმ ორიდან, მაღალ-მაღალი კაცი იყო, ნაციმბირალი.

— ამირეჯიბია გვარადო, — ძმაკაცმა მითხრა, — მაგია სწორედ, შენი ამბავი მთელ ქვეყანას რომ მოფინაო! •

— არ დაუჯეროთ! — მეორემ მიჩურჩულა, ბატონ ჭაბუას რომ შემოყვა, მწერალმა. — შვილებს გეფიცები, ნამდვილად ვიცი, სხვისი დაწერილი რომ არისო ის წიგნი!

წავა ახლა ის მამაძაღლი და დამბრალდება მისი ნათქვამიც მე.

მეთოთხმეტე საუკუნის ქრონიკიდან

ჭუკვდა ერსა განმგებლად სამწერლოთა საქმეთა ჭაბუკა პირმშვენიერი და რაინდი კეთილაღნაგი — ამირეჯიბი. შეება ჭაბუკა სატკივართა ქვეყნიერთა, მეოხ ექმნა პროზას დანატრულთა მრავალთა, იღვაწა შესაქმნელად რომანისა ხელისხელ საგოგმანებელისა. გარნა იმატა უფრორე: შურმან და მტრობამ და ჭორებმა უბოროტესმა!..

ურკვეველ დარჩა ჭაბუკა ვითარებასა შიგან, არა უწყოდა, რომლითა ძალითა შებრძოლებოდა სულმდაბლობასა და ქვებუდანობას არაკაცთა, რამეთუ ღმერთი არა იყო ჭაბუკა.

მაშინ განისმა ხმა:

— სრულქმნისათვის ღვაწლი არის ჭეშმარიტი დანიშნულება კაცისა და დაგესხას ნიჭი გარდაქცევისათვის სიკეთედ ბოროტებისა!

ამოკრიბა ამ. მგელაძემ

ანეკდოტები

საკუთარივით

— წინათ ჩვენს მეურნეობას თავმჯდომარე ისე ეპყრობოდა, როგორც საკუთარს.

— ახლა?

— ახლა კი ისე უვლის, როგორც საკუთარს.

შევაჭრება

— ბადრიჯანი მეტი არა გაქვთ?

— ესღა დამრჩა.

— მერე როგორ ყიდით მაგ ნარჩენს?

— წასვლა მეჩქარება! მუქთად წაიღეთ!

— ცოტას ვერ დაუკლებთ?

ბოლი ყველასათვის

ოსანაულში, გამვლელის ცხვირწინ, ავტომობილმა მაყუჩიდან შავი ბოლი გამოაფრქვია.

— მომახრჩოლე, თორემ შენი პატრონის ცოლ-შვილი არ ჩაყლაპავს მაგ ბინძურ ჰაერს! — დაადევნა მანქანას გაბრაზებულმა გამვლელმა.

საპარიკმახეროში

პარიკმახერს არ მოეწონა კლიენტის თმის ვარცხნილობა, ამიტომ ჰკითხა, ჩემამდე ვინ გაგკრიჭაო?

კლიენტმა შეკითხვა სხვანაირად გაიგო და ასე უპასუხა:

— აქეთობას რესტორანში, ბაზარსა და კოოპერატივის ფარდულში გამოვიარე. იქ გამკრიჭეს, გამპარსეს და ტყავიც გამაძვრეს!..

პატივსაცემი ადამიანები

— შენგან მეტი პატივისცემა მეკუთვნის! — ეუბნება ცოლი ქმარს, — ბოლოს და ბოლოს, პროფესორის ცოლი ვარ!..

— თუ ეგრეა, მეც მეკუთვნის რაღაც პატივისცემა, — მიუგო ქმარმა, სხვა თუ არაფერი, პროფესორის ცოლის ქმარი ვარ!..

ზარმაცი თანამშრომელი

განყოფილების თანამშრომელს სამსახურში საქმე არაფერი ჰქონდა და იმასაც არ აკეთებდა!

ილგალი

...ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ ყოველგვარი იმედი რომ გადამეწურა, როგორც იქნა, ბედმა გამიღიმა და მოვიდა ოცდაერთი!

— ბანქოში?

— არა, კაცო, ავტობუსის გაჩერებაზე!..

პირიქით

— კომერციულ მაღაზიაში ხორცს ცეცხლი უკიდიაო, მითხრეს. თქვენ კი, პირიქით, გაყინულიც არ გქონიათ! — გაიკვირვა ამ მაღაზიაში შემოსულმა მყიდველმა. — დაუჯერე ამის შემდეგ ხალხს!..

მიზეზი

— ამ ბოლო დროს რაღაც ხშირად ავადმყოფობ!..

— კარგად როცა ხარ, არავინ მოგხედავს და, აბა, რა ვქნა?!

ყოველი შემთხვევისათვის

ერთი კაცი ორმოს თხრიდა.

— თუ სხვისთვის თხრი, — შენიშნა გამვლელმა, — ყოველი შემთხვევისათვის. შენი ზომისა გათხარე. ვინ იცის, იქნებ თვითონ ჩავარდე და მოკლე აღმოჩნდეს!

აპოლონ გასილაია

[illegible] ის გვიკლავ თავს?!

იუმორესკა

სხვადასხვა ობიექტური და არაობიექტური მიზეზების გამო არაერთხელ გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ განვახორციელე.

არ გეგონოთ, გულდედალი ვიყო: ყოველთვის ვაუკაცურად მოვინდომე გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა, მაგრამ...

ერთხელ გამახსენდა, რომ ცოლ-შვილი მყავს და ჩემს მეტი ვერავინ ჩადგება პურის რიგში!

მეორედ მომაგონდა, რომ ოდა-სახლის სახურავი მაქვს გამოსაცვლელი და ვიდრე უნგრულ შიფერს არ ვიყიდი (თქვენი მტერი არაა მეტი!), მანამ თავის მოკვლა სისულელეა!

მესამედ: ჩემმა ყველა მეზობელმა სამოთხეერ მოიჭენეს და მოიჯირითეს მეზობელი თურქეთი და მე ერთხელაც რაფერ არ ვნახო-მეთქი?!

მეოთხედ: მე რომ თავი მომეკლა, ჩემი კრახუნია საკომისიო მაღაზიებში გამოტანილი 400-მანეთიანი ხალათისა და 1000-მანეთიანი „ინსპექტორების" ჩაუცმელი დამრჩებოდა და გადავიფიქრე!

მეხუთედ ვიღაცამ მომაყვირა: არიქა, უშველე, ანტიფო, გაიქეცი ჩქარა, ღინტუს მაღაზიაში 16-მანეთიანი ყველი იყიდებაო და მეც გავიქეცი!

მეექვსედ მომაგონდა, რომ ჩემი უმცროსი, ნაბოლარა ბიჭი, საბავშვო ბაღში მყავდა წასაყვანი და, რა მექნა არ წამეყვანა?!

მეშვიდედ შუათანა ქალიშვილი შემებრალა: სამედიცინო ინსტიტუტში ცხრა დედამამიანსა და პატრონიანს უჭირს თავის შერგვა და მე რომ არ ვიქნებოდი. ჩემს უმამო ციცინოს ვინ მოაწყობდა? (ცრემლებად დავიღვარე!).

მერვედ გამახსენდა, რომ გაზის ბალონები მჭონდა დასატენი, სახლში მისატანი და რის ვაი-ვაგლახით მოვიტანე!

მეცხრედ ვთქვი: ბარემ ამ ერთხელაც წავყვები მეუღლეს და ცეცხლწაკიდებული ბაზრიდან გამოვატანინებ 25-მანეთიან ხორცს, 50-მანეთიან ქათამს, 10-მანეთიან კიტრს, 20-მანეთიან ტარხუნას, 15-მანეთიან პამიდორს, 10-მანეთიან ქინძს და —თავის მოკვლა მაძღარი სჯობია-მეთქი!

მეათედ ვიფიქრე: მე რომ არ ვიღლიტებოდე, მე რომ არ ვჭურდობდე და არ ვმამაძაღლობდე, ხომ დამეკცეოდა ოჯახი?! სხვა ვინაა ჩემნაირი შემომტანი-მეთქი და გავჩერდი!

მეთერთმეტედ, როცა რევიზია ჩამიტარეს და ყველაფერი გაირკვა, მაშინ მართლა გადავწყვიტე: ამისთანა გავირებულ-გაღორებულ-გაკატებულ-გაძაღლებულ ცხოვრებას არცხოვრება სჯობია-მეთქი და...

რად გინდა მერე, გადაწყვიტე და იყავი! გიყი ხარ?! გგონია, მოიკლავ თავს?!

ავდექი და მივადექი ზღვას — გავიხადე ტანთ, გავსწორდი წელში, ჩამოვიკიდე კისერზე დიდი ქვა (თეთრი ქვა კარგად ჩანს წყალში), მივიღე საწყისი მდგომარეობა და... სწორედ ამ დროს იყვირა ვიღაცამ ჩემი ცოდვით სავსემ: რამ გამოგთიშა, ბიჭო, შენ, მაინცდამაინც თუ მასე თავის დახრჩობა კი გინდა, მაგ ხოლერიანი წყლის მეტი წყალი საქართველოში რაფერ ვერ ნახეო?!

მოვწყდი ზღვას და გავიქეცი მდინარეზე, მაგრამ სად იყო წყალი?! ჩემდა საუბედუროდ, დამშრალიყო!

ავვარდი კლდეზე: აქედან გადავვარდებიმეთქი, ვიყვირე (მომეწონა მისი ხიმაღლე!), მაგრამ მაშინვე გამახსენდა, რომ ამ უფსკრულში ჯერ ჩემი მოძებნა, მერე აქედან ჩემი ამომყვანი არც ოჯახის წევრი მყავს, არც ნათესავ-ახლობელი და პირდაბჩენილ უფსკრულში ჩაშვება სამართლიანდ არ ვიხურვე!

მივედი და ვთხოვე მეგობარს: აიღე ეგ ნაჯახი, ძამიკო, და მთხლიშე თავში-მეთქი, მაგრამ გეკადრება?! არამც და არამც არ ქნა! ჯერ ერთი, შენ ჩემთვის არაფერი დაგიშავებიაო, მეორეც, მეც რომ დამჭირდეს თავის მოკვლა, ვისი იმედი მქონდეხო?!

ვეძებ, მაგრამ ვერსად აღმოვაჩინე თოკი!

ყველა ნაცნობს ვთხოვე, მაგრამ არავინ მათხოვა არც თოფი, არც რევოლვერი, არც ავტომატი!..

ყველამ ერთნაირი პასუხი გამცა: შენ რომ გათხოვოთ, ჩვენ რა ვქნათ, ამ მდგომარეობაში მყოფნი, ჩვენც დღე-დღეზე ვფიქრობთ შენსავითო!..

აფსუს! ესაა ცხოვრება?!

რევაზ ლორია
(ქ. ლანჩხუთი)

ნახ. 3. კუციასი



— გაუნულიც არაფერი გაქვთ?!
— ეკონომიკ!

ისტორიამ იცის, რომ ტირანულ სახელმწიფოებში მოღვაწეობენ პიროვნებები, რომლებიც განსაზღვრავენ ამ სახელმწიფოთა პოლიტიკური მიმდინარეობის გენერალურ ხაზს. 1917 წელს მსოფლიოს შეემატა კიდევ ერთი ტოტალიტალური ქვეყანა — **პირველი საბჭოთა სოციალისტური იმპერია,** რომელიც **ლენინმა** შექმნა. ამის შემდეგ, როგორც ცნობილია, მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე **ჰიტლერმა** დააარსა იმპერია და გერმანული ფაშიზმი გაავრცელა თითქმის მთელს ევროპაში. ასეთ სიტუაციაში ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ ორი ზესახელმწიფოს — **გერმანიისა** და **საბჭოთა კავშირის ტოტალიტარული რეჟიმები.** როგორ დამთავრდა ეს შერკინება, ყველას კარგად მოეხსენება! ოქტომბრის რევოლუციის, მეორე მსოფლიო ომისა და მაშინდელი ლიდერების შესახებ, ალბათ ბევრი დაიწერება. მე კი ერთ საინტერესო ფაქტზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება: ყველაფერი ეს შემთხვევითია თუ კანონზომიერი, სამსჯავროდ თქვენთვის მიმინდვია! 20-ანი წლების მსოფლიოს 5 კაპიტალისტური ქვეყნის (**აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, იტალია**) **5 გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის გვარების ყოველმა მესამე ასომ ზეადგინა პირველი კომუნისტური ქვეყნის ბელადის სახელი — ლენინ. მეორე მსოფლიო ომამდე 6 კაპიტალისტური სახელმწიფოს (იტალია, გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, იაპონია, ჩინეთი) 6 მაღალი თანამდებობის პირი ანტიკომუნისტის გვარების ყოველმა მესამე ასომ აგრეთვე შეადგინა გამარჯვებული საბჭოთა იმპერიის მმართველის სახელი — სტალინ, ხოლო 80-ანი წლების 5 კაპიტალისტური სახელმწიფოს (ავსტრია, ინგლისი, გერმანია, იაპონია, ჩინეთი) მსოფლიოში გავლენიანმა 5 პოლიტიკური მოღვაწის გვარების მესამე ასოებმა კი შეადგინეს საბჭოთა იმპერიის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის — ბერიას გვარი.**

აი ისინიც:
ვი ლ სონი
კლ ე მანსო
გი ნ დენბურგი
სა ი ონძი
სო ნ ინო

მუ ს ოლინი
ჰი ტ ლერი
ფრ ა ნკო
და ლ ადიე
არ ი ტა
ჩა ნ კაიში

შო ბ ერი
იდ ე ნი
კუ რ ციუსი
კო ი სო
ჩუ ა ნ სიუელიანი

გურამ ხუციშვილი,
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ზესტაფონური ანეკდოტები ბადრიაზე

ბადრიას ეროვნული კონგრესის წევრობა შეხთავაზეს.

— ხალხო, ეროვნულ კონგრესს მრგვალი მაგიდა მირჩევნია! — უპასუხა ბადრიამ.

XXX

ერთხელ ბადრიას პრეფექტმა დაიბარა და ჰკითხა:

— რომელ პარტიას ეკუთვნით თქვენ?

— მრგვალ მაგიდას, ბატონო! — მოახსენა ბადრიამ დაუფიქრებლად.

XXX

— რატომ ანიჭებთ უპირატესობას მრგვალ მაგიდას? — ჰკითხეს ბადრიას.

— იმიტომ, რომ ცეკვის დროს კუთხეები ხელს არ მიშლის!

XXX

ბადრიას კულტურის სახლის წინ დაჯდა და შიმშილობა გამოაცხადა.

— თქვენი შიმშილობის მთავარი მიზეზი? — ჰკითხა კორესპონდენტმა.

— დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, ადამიანთა უფლებების დაცვა, საზღვარგარეთის ქვეყნების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა და, რაც მთავარია, საჭმელი არა მაქვს!..

XXX

ბადრიას ექიმმა კბილი დაუპლომბა და დაარიგა:

— ორი საათის განმავლობაში არაფერი არ ჭამოთ!

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ექიმო! არც ორი საათის შემდეგ შევჭამ რამეს, რადგან საჭმელი საერთოდ არა მაქვს! — მოახსენა გახარებულმა ბადრიამ.

XXX

სოფელში ახალი გზა გაბულავდათ. გზას რომ პირდაპირ გაევლო, დიდი მთა უნდა მოენგრიათ.

— ამ მთას ორ წელიწადში ვერ დავანგრევთ! — თქვა ერთმა.

— ხალხო! გორბაჩოვი ჩამოვიყვანოთ, მაგან 70 წელს სიმწრით ნაშენები სახელმწიფო ორ წელიწადში დაანგრია და ამ მთას ორ დღეში დაანგრევს! — დაასკვნა ბადრიამ.

XXX

— უხიხლო რევოლუცია მოხდა, ცხოვრება შეიცვალა! — უთხრეს ბადრიას.

— კი, სწორია, ადრე თუ შაქრიან ღვინოს ვსვამდი, ახლა შაქარი ხანთლით საძებარია, ხანთელიც თუ იშოვე! — დაუდასტურა ბადრიამ.

შეკრიბა ერმალო მაღრაძემ

ფრაზები

● **ზოგიერთი** პატარძალი შვილის აღზრდას ქმრის აღზრდას ამჯობინებს.

● **ქურდგაცაცებმა** დაიკვეხნეს: ჯიბეების გასაწმენდად, ქიმიურ წმენდაზე უკეთ, ჩვენ ვმუშაობთო!

● **ჭკვიანი** ხელმძღვანელი თათბირს ხელფასის აღების დღეს იწვევს.

● **დღეს** წამალი ისეთი დეფიციტი გახდა, რომ მის შოვნაზე ვერავინ ვერ გიშველის, ტელევიზიის გარდა!

აკაკი ქავზინაძე

ამას წინათ ერთმა ცნობილმა, ნიჭიერმა, მრავალწახნაგოვნად განათლებულმა და მეტად ერუდირებულმა კორესპონდენტმა — **ავროორა არდალეიშვილმა** — ინტერვიუ ჩამოართვა ცამეტი წლის არხოტელ **მზექალა ხიმიკაურს,** ვინც საკუთარი თვალით იხილა უცხოპლანეტელები.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს სრულყოფილად:

კორესპონდენტი: პირველად როდის გესაუბრნენ უცხოპლანეტელები?

მზექალა (კარგა ხანს ფიქრობს, მერე პირიდან სალოკ თითს გამოიღებს და ამოღერღავს): სექტემბერში. თან ნუგა კამფეტები მომიტანეს, — ჩვენ ვიცით, რომ ნუგა კამფეტი ძალიან გიყვარსო!

კორ.: (გაოცებული იერით): რა თქმა უნდა, ქართულად გელაპარაკებოდნენ, არა?

მზექალა: დიახ!

კორ.: აბა, თუ გაიხსენებ, მზექალა, ქართული უჭირდათ თუ თავისუფლად ლაპარაკობდნენ?

მზექალა (დაფიქრდება): ცოტა უჭირდათ!

კორ.: მაინც რომელ კილოზე ლაპარაკობდნენ, თუ შეატყვეთ?

მზექალა: ხევსურულ კილოზე უბნობდნენ!

კორ.: მეორედ როდის გესტუმრნენ?

მზექალა: ორი კვირის შემდეგ!

კორ.: დიდხანს დარჩნენ?

მზექალა: ორი საათი. დეიდაჩემ ხინკალ გააკეთა. ხინკლითა და ხევსურულ ლუდით გავუმასპინძლდით!

კორ.: მოეწონათ?

მზექალა: ძალიან გვიყვარს ხევსურული ხინკალიო! ხაჭაპურიც გვიყვარს, ოღონდ ხაჭაპური გურულ-მეგრულიო! შემწვარი გოჭიც იქაური სჯობია, თუ გოჭი შაქარნაჭამი არ არის და ზედ აჯიკა აქვს წასმულიო!

კორ.: (მთლად გაოცებული და გაოგნებული): გურული ხაჭაპური საიდანღა ვიცითო?!

მზექალა: იქაც გვყავს შენნაირი პატარა ოზურგეთელი ციცაიო! ის ხაჭაპურებითა და შემწვარი გოჭებით გვიმასპინძლდებაო!..

კორ.: ხევსურული ლუდი თუ მოეწონათ?

მზექალა: ლუდიც არ არის ურიგოო!

კორ.: (სიტყვას ბანზე აუგდებს): კიდევ რა გითხრეს?

მზექალა: შენ გაუხარელ ქალაი ხარ, დღეიდან ბედნიერ იქნებიო, ტელევიზორშიც ხშირად გამოგიყვანენო, სწავლითაც კარგად ისწავლიო დღეიდან!

კორ.: (ღრმად ჩაფიქრდება): მერე, როგორ ატყობ, მზექალა, სწავლას მართლა მოუმატე?

მზექალა: მოვუმატე. ადრე თუ მასწავლებლები ორიანებს მიწერდნენ, ახლა სამიანებსაც მიწერენ. ისინი მეხმარებიან სწავლაში.

კორ.: ვინ ისინი, მასწავლებლები თუ უცხოპლანეტელები?

მზექალა: უცხოპლანეტელები!

კორ.: მაინც როგორ გეხმარებიან?

მზექალა: დავით აღმაშენებელი რომელ საუკუნეში იყო, მკითხეს, მე ვუპასუხე მეთორმეტეში-მეთქი. საკაძეო? ისიც მეთორმეტეში-მეთქი. არაო, მითხრეს, მეთორმეტეში თამარ მეფე იყო, დავითი მეთერთმეტე საუკუნეში მეფობდაო. მერე საკაძეზე მეუბნენ, მოღალატე თავადებმა გაამწარესო!..

კორ.: (მის გაოცებას საზღვარი აღარ აქვს): თუ გახსოვთ, როგორი აღნაგობა ჰქონდათ?

მზექალა: მგელიკა ძალიან მაღალ არს, გრძელ ხელებ აქვს, ცისფერი თვალები, ძაღლიკა ძალიან დაბალ არს, დიდ თავ აბია, დიდ ღიპ აქვს და ძალიან ბევრ ხინკალ თქამს.

კორ.: (თვალები უფართოვდება): თქვენ იმათი სახელებიც იცით?

მზექალა: დეიდაჩემ შეარქვა მგელიკა და ძაღლიკა. მაღალ, მგელიკა; დეიდაჩემ ძალიან შეუყვარდა. როცა მგელიკა მოსვლას დაიგვიანებს, დეიდა ღელავს, გულ ცუდად უხდება!..

კორ.: რა ხნისაა დეიდათქვენი?

მზექალა: ოცდაათ წლისაა, მგელიკაც ეგრე იქნება.

კორ.: უფრო ხშირად რა დროს მოდიან?

მზექალა: გვიან ღამით, ვიდრე დავიძინებდეთ.

კორ.: როგორ იგებთ მათ მოსვლას?

მზექალა: ფანჯარას კენჭებ ესვრიან ხოლმე. დეიდაჩემ ფხიზლობს და მალევე გაიგებს ხოლმე.

კორ.: კიდევ რას გეუბნებიან, მზექალა? რაზე საუბრობენ?

მზექალა: შენ დასაჩაგრ ციცაი არა ხარო, ბედნიერ ქალაი იქნებიო. უმაღლესშიც მოეწყობიო. ამას წინათ დაგვპირდნენ მოვალთო და არ მოვიდნენ. მეორე კვირაში მოვიდნენ და ეგრე გვითხრეს, რომ ნათესავ მოგიკვდათ და ხელ არ შეგიშლითო! ბევრ ნუგა კამფეტ მომიტანეს და ფრანგულ სუნამო.

კორ.: იმ დღისით, როცა არ მოვიდნენ, მართლა მოგიკვდათ ნათესავი?

მზექალა: მართლა, მოხუც ქალ იყო ერთი.

კორ.: მზექალა, ჩვენი შეხვედრის დრო იწურება. დღეს ამით დავამთავროთ და შემდეგ გავაგრძელოთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენი მსმენელები მოუთმენლად ელიან თქვენთან მეორედ შეხვედრას. ქართველი მსმენელების სახელით მოკითხვა გადაეცით თქვენს მეგობარ უცხოპლანეტელებს, როგორ ჰქვიათ მათ? დამავიწყდა...

მზექალა: მგელიკა და ძაღლიკა.

კორ.: ჰო, დიახ, მგელიკას და ძაღლიკას!

ინტერვიუ მოისმინა და ჩაიწერა
სოლომონ დემურხანაშვილმა

— ასე არ სჯობს?!

დიმიტრი ზარაფიშვილი

— აქ ზარი უნდა ჩამოვკიდო, ღამის ქურდები რომ მოვლენ, დარეკავს!..

— დღის ქურდების ზარი სად უნდა ჩამოკიდო?!.

— ამ სახლის აშენებაში კომისიამ მშენებლებს ხუთი ბალი დაუწერა!..

— კი მაგრამ, მიწისძვრა ცხრაბალიანიც ხომ არის?!

— ქორწილში მივდივართ და პატარძლისთვის საჩუქარს ვეძებთ!..

— ჩადი, აგერ, კომერციულ მაღაზიაში და ერთი კილო კარაქი უყიდეთ, უკეთესი საჩუქარი რა უნდა იყოს დღეს?!

თემები ვ. სიხარულიძისა

საუკუნეთა სიღრმეებისაკენ სვლა გრძელდება!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცარქექოლოგიაში ჩვენმა პირველმა ნაღვაწმა მკითხველებისა და დარგის სპეციალისტთა ფრიად განსხვავებული შეფასებანი დაიმსახურა, ანუ, ერთი სიტყვით, **ალშფრთოვანებული** გამოხმაურება ჰპოვა.

რა დასამალია, ცაში აყვანასთან ერთად იყო მცდელობა ჩვენი სასაცილოდ (და კერიიდან) აგდებისა, კედელთან მიყენებისაც კი. მაგრამ **გაყპონენტებმა**, ჩანს, ვერ გაითვალისწინეს, რომ ჩხირით კედელზე კაცილები უკეთ შეიძლება შემოპედებითი წვის ორგანიზება, ვიდრე თვით ნაცარ-ღადარში.

ვითვალისწინებთ რა საქართველოს სხვადასხვა კუთხის შვილებისა და მრავალი სხვა ქვეყნის მცხოვრებთა ურიცხვ თხოვნა-ვედრებას, გთავაზობთ უახლეს ნაცარქექოლოგიურ ეფლევა-ძიებათა ამსახველ სტატიას ამ რეგიონების სახელების წარმოშობის თაობაზე.

რადგანაც კოლხეთის, ქართლისა და კახეთის შესახებ უკვე გავნათლდით, ვიწყებთ **რაჭით**. ეს ერთადერთი მხარეა, საიდანაც გასაგები მიზეზების გამო ჯერჯერობით წერილი არ მიგვიღია.!

გავიხსენოთ სიტყვა, რომლიდანაც დაიწყო ყველაფერი — „კო".

ერთი შეხედვით (გნებავთ, ორით ან მეტითაც) — რა კავშირი უნდა იყოს „კო"-ს და „რაჭას" შორის?! ერთი ასოც კი არა აქვთ საერთო!

ნუ ვიჩქარებთ, ბოლოს და ბოლოს **რაჭის** შესახებ ვმსჯელობთ.

ჯერ მოდით, ვნახოთ ვენახი, უფრო სწორად, გენეალოგიური ხე, ხოლო მთლად უზუსტესი თუ ვიქნებით, ამ ხის ის შტო (ადგილი მეტის საშუალებას არ იძლევა), რომელიც „კო"-ს „რაჭასთან" აკავშირებს:

კო-კორ-კარ-ჭარ-რაჭ.

ჩხირით კეფა მოვიქექოთ და გავიხსენოთ, რომ გურული კაცი **„გაჭერის"** მაგიერ ამბობს: **„გაჭარი"**.

შემდეგ, ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ იარაღის, ინსტრუმენტის გამოყენებით მიღებულ შედეგზე ხშირად გადადის პირველთა სახელი. მოვიყვანოთ მაგალითები:

ჭარ-ჭა. (მ) ჭერი, ჭური, ნაჭერი;

სარი — სორო!

КОЛ — КОЛОДЕЦ,
КОПЬЕ — КОПЫ,
ДЕР[ЕВО] — ДЫРА.

რაც შეეხება **„ჭარ-რაჭ"** მონაცვლეობას, იგი გვხვდება სიტყვა **„რჭობაში"** და ისეთ საინტერესო კომპოზიტში, როგორიცაა **„კუდრაჭა"**. ბოლო სიტყვა, ვიცით, მერცხლის ატრიბუტი გახლავთ. ვამბობთ: **კუდრაჭა** (ანუ კუდგაჭრილი, კუდრაჭა) **მერცხალი**. ისე კი არც ასეთი სიტყვათ შეხამება ჟღერს ურიგოდ:

კუდრაჭა რაჭველი.

ბუნებრივია, ვიკითხოთ. რატომ მაინცდამაინც **„ჭარ"** და **„ჭური"**? ყოველგვარი გაუგებრობის ასაცილებლად, ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ **სრულიადაც არ გაგვივლია გულში, თითქოს, რაჭველები ჭურში ისხდნენ.** არა და არა! საქმე ისაა რომ **რაჭა** უხსოვარი დროიდან სამთო მრეწველობის მსოფლიო მნიშვნელობის ცენტრი გახლდათ — აქ მრავლად გვხვდება უძველესი მაღაროები — **ჭები. სწორეთ მათ გამო ეწოდა ამ მხარეს რაჭა!** იგივე ითქმის **აჭარის, ჭარის, სანჭაროს, ჭარილის,** და **ჭართლოს** შესახებ, რომელთა მიდამოებშიც არსებობს (ან აღმოსაჩენია!) ასეთივე ჭები. შეიძლება **ქვანჭარერის** გახსენებაც, რომელიც ამჟამად თურქეთის მფლობელობაშია.

კიდევ ერთი არგუმენტი:

რაჭველ კაცს გენეტიკურად ისე გაუჯდა სხეულში სამთო საქმისა და მეტალურგიის სიყვარული, რომ იგი თონეშიაც კი (როგორც ჩანს, გაუცნობიერებლად) ჩვეული სიცქვიტით ერთდროულად სამ კურდღელუკას იჭერს — აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნას პროდუქტზე, ოჯახისას — სარჩოზე და, რაც მთავარია, სისხლის ყივილისა — ჭურზე.

გადავდივართ **იმერეთზე**. სიტყვას ვაძლევთ თვალსაჩინო ქუთაისელ ნაცარქექოლოგს **ჰეჭია ქიმერიძეს:**

„ისეთ, ჩემო ბატონო, იმერეთით უნდა დაგეწყოთ, მარა კაი ახლა!..

სულ ტყვილია ის ამბავი, ვითომ **„იმერეთი" „იმ მხარეს"** ნიშნავდეს. მტრების მოგონილია მაგი, გეუბნები მე შენ! არაფერი ჭირს იმერეთს საიმისო, ვინცხა-ვინცხეებს „ამერეთი" ქვიოდეს და თვითონ კიდო **„გადამთიელეთი"**. მით უმეტეს, როცხა ტერმინი **„ამერეთი"** ადრე არც გაგონილა, ბოლო დროის შეთხზულია მაგი. ხო გეუბნები, მარტო ფეხბურთში კარა გვყავენ მტრები-თქვა.

სიმართლე თუ გინდათ, ჩემო ბიძია, ქუთაისი იყო და არის უმაღლესი მსოფლიო კულტურის უმაღლესი ცენტრი!!! მერედა, რათერ უყვართ ქუთაისში სიტყვები **„უმაღლესი"** და **„მსოფლიო"**! ამის წინეებზე რა მითხრა ბურახის გამყიდველმა, თუ იცი? — „მსოფლიო კვასს ჩამოგისხამ **შიგ უმაღლესი** შუაგულიდანო!".

უნდა კიდო იმას ფიცი-მტკიცი, რო ქუთაისი მსოფლიო შუაგულის უმაღლესი ცენტრი გახლდათ?!

ახლა, თვითონ ქუთაისის ცენტრი რა იყო? — **უქიმერიონი!**

თუ ამ სიტყვას ქუთაისელთა საყვარელ „უ"-ს ჩამოვაცილებთ, რა გვრჩება, თუ იცი? — **ქიმერიონი**, ე. ი., შენ ხარ ჩემი ბატონი, **ქიმერების** ერთობლიობა ანუ

ქ-იმერეთი.

არ გამასუნელოთ ახლა, ეს **„ქ"** მერე სად გაქრაო?! იმერული და, საერთოდ, ქართული ხელგაშლილობის გამოისობით საუკუნეების მანძილზე ვითომ მარტო **ჭუები** გვაქ დაკარგული, ნეტაი?

წევიჩოჩოთ ახლა პაწიეზე წინ. ქიმერა, ძამია, ახლაა ქიმერა, თვარა ადრე?!!! **ეუბ!** არა, რა იყო ზუსტად ჯერ ვერ გეტყვით, მარა უმაღლესი რაცხა რო იყო, მაგას წყალი გოუვა? კი, ბატონო, ძველ ბერძნებსაც ჰქონდათ სიცილიაზე ქალაქი **ქიმერა**, ჩვენშიცაა, აჭარაში. ერთი სოფელი ქემერი. მარა **უ-ქიმერიონი** სადანეა, თუ იცი, სხვაგან დედამიწის ზურგზე?

ამის მერე კიდო უნდა ლაილაი. ვინები ვართ ეს **ქ-იმერლები?!**

მართალია, მსოფლიო ცენტრის შესახებ, თითქოს, ერთხელ და სამუდამოდ ყველაფერი გაირკვა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო გურიის სახელდების საკითხია, რის შესახებაც მომავალში გპირდებით სტატიის გამოქვეყნებას. მანამდე კი დავჯერდეთ XX საუკუნის უცნობი გურული[2] შემოქმედის ნათქვამის პერიფრაზს:

„თქვენ მორე სტატია ნახეთ, მორე" (უფრო ზუსტად კი მესამე).

P. S. ზემოთ მოხსენიებული **„მრავალი სხვა ქვეყანა"** კინაღამ არ დაგვავიწყდა?

რადგან ქაღალდის დეფიციტია, იძულებული ვართ „ნიანგის" მკითხველებისათვის მხოლოდ საშინაო დავალების მიცემით შემოვიფარგლოთ.

ისარგებლეთ სტატიებში გადმოცემული **ნაცარქექოლოგიური** კვლევის მეთოდოლოგიით და იპოვეთ კავშირი შემდეგ სიტყვებს შორის: ჩინეთი, დრო, ინდოეთი, კალენდარი, ჩოხატაური, ბლომად, იბერია, ტოტი, რომი, გლეხი, მოსკოვი, ბოლივია და სხვა.

უუმცროსი მეცნიერ-ჩხირითმშრომელი
ნ. ქექიაური

---

[1] ისე, ამბავი ჩამოგვივიდა, სახტრაფო ტელეგრამა გამოაგზავნესო.

[2] სიტყვა „ბ ურ უ ლ ი ს" შემდეგ ტავტალოგიის თავიდან აცილების მიზნით „გენიალური" რედაქციამ ამოგვიშალა.

ჟურნალი „ნიანგი" №23
24. (1850). დეკემბერი
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია.

ავთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჯაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბარათია, რევაზ თევრაძე, ჯემალ ლოლუა** (მხატვარ-რედაქტორი), **ნოდარ მალაზონია, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიკლაური.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 8. 10. 91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 6. 02. 92 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,6. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო". შეკვ. №1978. ტირ. 73 000.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი. რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების— 93-49-32, რედაქტორ-ლიტ მუშაკების — 99-02-38, მდივან-მ ე მ ა ნ ქ ა ნ ი ს — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (на грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Типография журнально-газетного издательства Грузии «Сампобло». ул. М. Костава № 14.

ფასი 80 კაპ.

ინდექსი 76137

ბუსუკი ეკბილში

უნივერმაღში

ერთი მომხმარებელი უნივერმაღის სათამაშოების სექციაში გამოკრულ განცხადებას კითხულობს:

„ხელით ნუ შეეხებით გამოფენილ სათამაშოებს!" — და სექციის გამგეს მიმართავ:

— საკვირველია, რა საჭიროა ეს განცხადება, აქ ხომ ბავშვები მოდიან და მათ ხომ წერაკითხვა ჯერ არ იციან?

— მართალი ბრძანდებით, ბატონო, მაგრამ ეს განცხადება მშობლებისათვის არის და არა ბავშვებისათვის!

ორი ბრილიანტი

ერთი მამაკაცი საიუველიროში შედის და გამყიდველს მიმართავს:

— აი, ის ბრილიანტი მინდა შევიძინო, ვიტრინაში რომ დევს! რა ღირს?

— ოოო! ეს ძალიან ლამაზია, — უპასუხებს გამყიდველი, — რადგან ასე ძალიან გსურთ, თქვენ 10 000 ფრანკად მოგყიდით!

— კეთილი! — თანხმდება მყიდველი და იხდის დასახელებულ თანხას. მაღაზიიდან გამოსვლისას ისევ უბრუნდება გამყიდველს და ეკითხება:



— მთელი ზაფხული იმეცადინე და მაინც ჩაიჭერი?!

— ასეთი კითხვა დამისვეს: რომელ ქვეყნებს ესაზღვრება დღევანდელი საბჭოთა კავშირი?

გ ა ზ ე თ ი „ლ ა ს ტ ა მ პ ა" (ი ტ ა ლ ი ა)

— ზუსტად ასეთი მეორე ბრილიანტი ხომ არა გაქვთ? მეუღლისათვის ბრილიანტის საყურეები მინდა შევუკვეთო!

— არა, ასეთი ნამდვილად ალარა გვაქვს!

— ოღონდ მიშოვეთ და მზად ვარ, 15 000 ფრანკი გადავიხადო!

— ხხვა დროს გამოიარეთ, ვეცდები. გიშოვოთ!

— აი, ჩემი სავიზიტო ბარათი. შიგ წერია მისამართი და ტელეფონის ნომერი, როგორც კი ბრილიანტი ჩაგივარდებათ ხელში, იმ წუთში მაცნობეთ!

ორი-სამი კვირის თავზე ერთი მანდილოსანი შედის საიუველიროში და იუველირს სთავაზობს შეისყიდოს ზუსტად ისეთი ბრილიანტი. მამაკაცს რომ მიჰყიდა. იუველირს გაეხარდა და უყოყმანოდ ეუბნება:

— **ახლავე ულაპარაკოდ მოგცემ 10 000 ფრანკს!**

— **როგორ გეკადრებათ!** თუ **გულით გინდათ, 13 000 ფრანკად დაგითმობთ, ერთი სუც არ დააკლდება!**

— რა გაეწყობა, თანახმა ვარ! — ეუბნება იუველირი და მანდილოსანს უთვლის 13 000 ფრანკს. ეს უკანასკნელი კმაყოფილი ტოვებს მაღაზიას. იუველირი სწრაფად სწვდება ტელეფონს და იმ კაცს, ურეკავს, ადრე რომ მიჰყიდა ბრილიანტი.

თუ რით დამთავრდა ეს ამბავი, ამის გამოცნობა მკითხველისათვის მიგვინდვია!

ლოთი

ლუქსემბურგის პარკში. მერხზე, მშვიდად სძინავს ერთ ლოთს. საღამოს, პარკის დაკეტვის დროს, მცველი მორიდებით აღვიძებს მას და ეუბნება:

— მეგობარო, დასტოვეთ პარკი, უკვე იკეტება!

— კარგი, კარგი! — ენის ბორძიკით ბურდღუნებს ლოთი. — დაკეტეთ, ოღონდ უხმაუროდ, გეთაყვა!

ფრანგულიდან თარგმნა
იონა გადავიძემ

7-91

92-47

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. მ. აბაშიძისა

№ 47
4.III-92

ახალი წელი: — ქართველებო, გთხოვთ, ახლავე შეაერთოთ მაგიდები და შეურიგდეთ ერთმანეთს!

ეროვნული ბიბლიოთეკა